საქართველოს პარლამენტის 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნების

საარჩევნო ღონისძიებათა გრაფიკი

არჩევნების დანიშვნის დღე	27 აგვისტო სამშაბათი	1. საქართველოს პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობის უფლების მისაღებად პარტია, რომელსაც არჩევნების დანიშვნის დროისათვის ჰყავს მისი წარდგენით არჩეული პარლამენტის წევრი, მისი ხელმძღვანელი პირის *(პირების)* მიერ ხელმოწერილი სათანადო განცხადებით მიმართავს ცესკოს თავმჯდომარეს პარლამენტის არჩევნების **დანიშვნის შემდეგ**, **არჩევნების დღემდე არაუგვიანეს 57-ე დღისა (საწყისი ვადა).** *(113-ე მუხლის პირველი პუნქტის "ა" ქვეპუნქტი)* 2. **იწყება** წინასაარჩევნო კამპანია (აგიტაცია). *(45-ე მუხლის პირველი პუნქტი)* 3. არჩევნების **დანიშვნის დღიდან** ცესკოს მიერ არჩევნების საბოლოო **შედეგების გამოქვეყნებამდე** და ამ დღიდან **1 თვის** განმავლობაში არჩევნებთან დაკავშირებული საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგების გამოქვეყნებისას სავალდებულოა, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" (შემდგომში - საარჩევნო კოდექსი) 50-ე მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნათა გათვალისწინება. *(50-ე მუხლის მე-5 პუნქტი)* 4. არჩევნების **გამოცხადებიდან** არჩევნების **შედეგების შეჯამებამდე** გაზეთები, რომლებიც ფინანსდება ცენტრალური ან ადგილობრივი ბიუჯეტიდან, ვალდებული არიან, დაიცვან საარჩევნო კოდექსის 50-ე მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი მოთხოვნები. *(50-ე მუხლის მე-2 პუნქტი)* 5. არჩევნების დღემდე **მე-60 დღიდან არჩევნების დღის ჩათვლით აკრძალულია** ისეთი პროექტების/პროგრამების განხორციელება, რომლებიც მანამდე არ იყო გათვალისწინებული საქართველოს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ ან მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში, გარდა საარჩევნო კოდექსის 49-ე მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული შემთხვევისა. *(49-ე მუხლის მე-3 პუნქტი)* 6. არჩევნების დღემდე **მე-60 დღიდან არჩევნების დღის ჩათვლით** სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს ან მუნიციპალიტეტის ორგანოს **ეკრძალება** მაუწყებლის ეთერში ისეთი სარეკლამო ვიდეორგოლის განთავსება, რომელიც შეიცავს ინფორმაციას შესაბამისი უწყების მიერ შესრულებული ან დაგეგმილი სამუშაოს შესახებ. *(49-ე მუხლის 3^1 პუნქტი)* 7. არჩევნების დღემდე **მე-60 დღიდან არჩევნების დღის ჩათვლით აკრძალულია** სოციალური გასაცემლების (პენსია, სოციალური დახმარება, შემწეობა და სხვა) ოდენობების ზრდა, აგრეთვე სოციალური გასაცემლების (პენსია, სოციალური დახმარება, შემწეობა და სხვა) ან/და შეღავათების დაწესება, გარდა საარჩევნო კოდექსის 49-ე მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული შემთხვევისა. *(49-ე მუხლის მე-4 პუნქტი)* 8. კენჭისყრამდე არაუგვიანეს **მე-60 დღიდან 5 კალენდარული დღის ვადაში** სამაუწყებლო ლიცენზიის მფლობელი, ავტორიზებული მაუწყებელი, საზოგადოებრივი მაუწყებელი და საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია/რადიო ვალდებულია ცესკოსა და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას ვებგვერდზე გამოქვეყნების მიზნით გადასცეს ინფორმაცია ფასიანი წინასაარჩევნო რეკლამის განსათავსებლად საეთერო დროის ტარიფების შესახებ. ეს ტარიფები ძალაში შედის **კენჭისყრამდე 50-ე დღიდან.** შესაბამისი ტარიფის შეცვლა დასაშვებია ერთხელ, **კენჭისყრამდე არაუგვიანეს 35-ე კალენდარული დღისა,** გარდა საარჩევნო კოდექსით გათვალისწინებული შემთხვევისა. ტარიფის შეცვლის შემთხვევაში ახალი ტარიფი ეგზავნება საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას ვებგვერდზე გამოქვეყნების მიზნით. ეს ტარიფი ძალაში შედის **კენჭისყრამდე 30-ე კალენდარულ დღეს. კენჭისყრამდე 50-ე დღიდან** საარჩევნო კოდექსის 50-ე მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული შესაბამისი პირი ვალდებულია დაიწყოს რეკლამის განთავსება ამავე

		პუნქტით განსაზღვრული პირობების დაცვით. *(50-ე მუხლის პირველი პუნქტი)* 9. ამომრჩეველი, რომელსაც აქვს იურიდიული ძალის მქონე საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა ან საქართველოს მოქალაქის პასპორტი და რომელიც მოიხსნა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით რეგისტრაციიდან ან რომლის რეგისტრაციაც ძალადაკარგულად გამოცხადდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს (შემდგომში - სააგენტო) გადაწყვეტილებით, ამომრჩეველთა ერთიან სიაში შეიყვანება ბოლო რეგისტრაციის ადგილის (მისამართის) ან ფაქტობრივი (დროებითი) საცხოვრებელი ადგილის (მისამართის) მიხედვით. სააგენტოს მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში ფაქტობრივი (დროებითი) საცხოვრებელი ადგილის (მისამართის) არარსებობის შემთხვევაში შესაბამისი ამომრჩეველი არჩევნებში მონაწილეობისათვის ვალდებულია არჩევნების დანიშვნის დღიდან **არჩევნების დღემდე არაუგვიანეს 21-ე დღისა** გამოცხადდეს სააგენტოში, მიუთითოს თავისი ფაქტობრივი (დროებითი) საცხოვრებელი ადგილი (მისამართი) და გადაიღოს ფოტოსურათი ციფრული ფორმატით. ამ შემთხვევაში აღნიშნული ამომრჩეველი თავისუფლდება „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს და დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში საკონსულო თანამდებობის პირის მიერ გაწეული მომსახურების ვადების, ამ მომსახურებისათვის დაწესებული საფასურების ოდენობების და საფასურის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №508 დადგენილებით განსაზღვრული ფოტოსურათის გადაღებისათვის დადგენილი მომსახურების საფასურის გადახდისაგან. *(184-ე მუხლის პირველი პუნქტი)* 10. ამომრჩეველი, რომელიც რეგისტრირებულია მისამართის მითითების გარეშე და რომელსაც აქვს იურიდიული ძალის მქონე საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა ან საქართველოს მოქალაქის პასპორტი, ამომრჩეველთა ერთიან სიაში შეიყვანება სააგენტოს მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში არსებული ფაქტობრივი (დროებითი) საცხოვრებელი ადგილის (მისამართის) მიხედვით. ასეთი ადგილის (მისამართის)არარსებობის შემთხვევაში შესაბამისი ამომრჩეველი არჩევნებში მონაწილეობისათვის ვალდებულია არჩევნების დანიშვნის დღიდან **არჩევნების დღემდე არაუგვიანეს 21-ე დღისა** გამოცხადდეს სააგენტოში, მიუთითოს თავისი ფაქტობრივი (დროებითი) საცხოვრებელი ადგილი (მისამართი) და გადაიღოს ფოტოსურათი ციფრული ფორმატით. ამ შემთხვევაში აღნიშნული ამომრჩეველი თავისუფლდება „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს და დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში საკონსულო თანამდებობის პირის მიერ გაწეული მომსახურების ვადების, ამ მომსახურებისათვის დაწესებული საფასურების ოდენობების და საფასურის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №508 დადგენილებით განსაზღვრული ფოტოსურათის გადაღებისათვის დადგენილი მომსახურების საფასურის გადახდისაგან. *(184-ე მუხლის მე-2 პუნქტი)* 11. საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატი/საარჩევნო სუბიექტი ანტიკორუფციულ ბიუროს **არჩევნების დანიშვნის დღიდან 3 კვირაში ერთხელ,** ანტიკორუფციული ბიუროს მიერ დადგენილი ფორმით წარუდგენს შესაბამის ფინანსურ ანგარიშს. *(57-ე მუხლის პირველი პუნქტი)* 12. არჩევნების **დანიშვნიდან** ამ არჩევნების საბოლოო **შედეგების შეჯამებამდე** დაუშვებელია პარტიის მიერ დანიშნული ცესკოს წევრის გამოწვევა *(მე-13 მუხლის მე-4 პუნქტი)* 13. საოლქო საარჩევნო კომისიების დროებითი წევრების ვაკანტური ადგილების დასაკავებლად ცესკო აცხადებს შესარჩევ კონკურსს *(მე-19 მუხლის მე-5 პუნქტი, ცესკოს განკარგულება №83/2024)* 14. არჩევნების დანიშვნის შემდეგ საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებს საარჩევნო კოდექსით დადგენილი წესით ნიშნავენ შესაბამისი პარტიები. *(მე-19 მუხლის მე-5*

		პუნქტი, 196[1] მუხლის მე-14 პუნქტი)
არაუგვიანეს 59-ე დღისა	28 აგვისტო ოთხშაბათი	საქართველოს პარლამენტის არჩევნების (შემდეგში - არჩევნები) დანიშვნის შესახებ ცნობა ქვეყნდება ცესკოს ოფიციალურ ვებგვერდზე და მედიით *(108-ე მუხლის მე-4 პუნქტი)*
59-ე დღიდან	28 აგვისტო ოთხშაბათი	1. პარტიის გადაწყვეტილება საოლქო საარჩევნო კომისიის წევრის დანიშვნის თაობაზე უნდა წარედგინოს ცესკოს არჩევნების დანიშვნიდან 7 კალენდარული დღის ვადაში *(მე-19 მუხლის მე-6 პუნქტი, 196[1] მუხლის მე-14 პუნქტი)* **(საწყისი ვადა)** 2. საოლქო საარჩევნო კომისიის დროებითი წევრების ასარჩევად ცესკოში კონკურსანტთა საბუთების წარდგენის **საწყისი ვადა** *(ცესკოს განკარგულება №83/2024)*
არაუგვიანეს 58-ე დღისა	29 აგვისტო ხუთშაბათი	საოლქო საარჩევნო კომისიის დროებითი წევრების ასარჩევად ცესკოში კონკურსანტთა საბუთების წარდგენის **ბოლო ვადა.** ცესკო საბუთების მიღების ვადის ამოწურვის შემდეგ თავის ოფიციალურ ვებგვერდზე აქვეყნებს კანდიდატთა სიას *(მე-20 მუხლის მე-15 პუნქტი, ცესკოს განკარგულება №83/2024)*
არაუგვიანეს 57-ე დღისა	30 აგვისტო პარასკევი	1. საქართველოს პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობის უფლების მისაღებად პარტია, რომელსაც არჩევნების დანიშვნის დროისათვის ჰყავს მისი წარდგენით არჩეული პარლამენტის წევრი, მისი ხელმძღვანელი პირის (პირების) მიერ ხელმოწერილი სათანადო განცხადებით მიმართავს ცესკოს თავმჯდომარეს პარლამენტის არჩევნების დანიშვნის შემდეგ, არჩევნების დღემდე არაუგვიანეს 57-ე დღისა. **(ბოლო ვადა)** *(113-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი)* 2. ცესკო განკარგულებით განსაზღვრავს ნარკოლოგიური შემოწმების ჩატარების უფლების მქონე დაწესებულებათა ჩამონათვალს. *(მე-14 მუხლის პირველი პუნქტის „ჯ[4]“ ქვეპუნქტი)*
არაუგვიანეს 56-ე დღისა	31 აგვისტო შაბათი	ცესკოს სათანადო სამსახური ამოწმებს პარტიის განცხადებასა და თანდართულ საბუთებს და არა უგვიანეს ცესკოში განცხადების შეტანის მომდევნო დღისა დასკვნას წარუდგენს ცესკოს თავმჯდომარეს **(ბოლო ვადა)** *(113-ე მუხლის მე-5 პუნქტი)*
არაუგვიანეს 55-ე დღისა	1 სექტემბერი კვირა	1. ცესკოს თავმჯდომარე საარჩევნო რეგისტრაციაში გაატარებს პარტიას, რომელსაც არჩევნების დანიშვნის დროისთვის ჰყავს მისი წარდგენით არჩეული პარლამენტის წევრი და მის წარმომადგენელს, თუ წარდგენილი განცხადება და თანდართული საბუთები შეესაბამება საარჩევნო კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს. შეუსაბამობის შემთხვევაში ცესკოს თავმჯდომარე წერილობით აცნობებს პარტიის წარმომადგენელს კანონით დადგენილ მოთხოვნებთან განცხადებისა და თანდართული საბუთების შეუსაბამობის შესახებ *(შეუსაბამობის მითითებით),* თუ არსებობს ასეთი შეუსაბამობა და მას **3 დღე** ეძლევა განცხადებისა და საბუთების სრულყოფისათვის. **(ბოლო ვადა)** *(113-ე მუხლის მე-6 პუნქტი)* 2. ცესკო საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წარუდგენს არჩევნების მომზადებისა და ჩატარების დაფინანსების გეგმას. *(53-ე მუხლის პირველი პუნქტი)* 3. ცესკო თავის ვებგვერდზე აქვეყნებს ამომრჩეველთა საერთო რაოდენობას საქართველოში და საქართველოს ყოველ საარჩევნო ოლქში. *(31-ე მუხლის მე-14 პუნქტი)* 4. სამაუწყებლო ლიცენზიის მფლობელი, ავტორიზებული მაუწყებელი, საზოგადოებრივი მაუწყებელი, საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია/რადიო ვალდებულია ცესკოს და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას ვებგვერდზე გამოქვეყნების მიზნით გადასცეს ინფორმაცია ფასიანი წინასაარჩევნო რეკლამის განსათავსებლად საეთერო დროის ტარიფების შესახებ. **(ბოლო ვადა)** *(50-ე მუხლის პირველი პუნქტი)* 5. მუნიციპალიტეტის ორგანოები ვალდებული არიან შეადგინონ იმ შენობა-ნაგებობების ნუსხა, სადაც შესაძლებელია ჩატარდეს წინასაარჩევნო კამპანია

		(აგიტაცია) და გადასცენ იგი საოლქო საარჩევნო კომისიას. საოლქო საარჩევნო კომისია ვალდებულია მუნიციპალიტეტის ორგანოთა მიერ გამოყოფილი შენობა-ნაგებობების ნუსხა გაასაჯაროოს მისი მიღებიდან **2 დღის ვადაში.** მუნიციპალიტეტის ორგანოთა მიერ გამოყოფილი შენობა-ნაგებობების ნუსხა აგრეთვე უნდა გამოქვეყნდეს ცესკოს ვებგვერდზე. *(45-ე მუხლის მე-9 პუნქტი)* 6. საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ საუბნო საარჩევნო კომისიების ხელმძღვანელი პირებისა და წევრების შესარჩევი კონკურსის გამოცხადების **ბოლო ვადა** *(ცესკოს განკარგულება №77/2024)* 7. საოლქო საარჩევნო კომისია ცესკოს ოფიციალურ ვებგვერდზე აქვეყნებს საარჩევნო უბნების ნომრებს, საუბნო საარჩევნო კომისიების მისამართებს, საკონტაქტო ტელეფონის ნომრებსა და სხვა რეკვიზიტებს *(23-ე მუხლის მე-8 პუნქტი, ცესკოს დადგენილება №4/2023)* 8. განისაზღვრება **რიგითი ნომრები** საარჩევნო კოდექსის 38[1] მუხლით გათვალისწინებული **პარტიებისათვის** ამავე მუხლით დადგენილი წესით. **(ბოლო ვადა)** *(38[1] მუხლის პირველი და მე-5 პუნქტები)*
არა უადრეს 54-ე დღისა	2 სექტემბერი ორშაბათი	საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირებისა და წევრების შესარჩევ კონკურსში მონაწილეობის მიზნით კონკურსანტთა საბუთების საოლქო საარჩევნო კომისიაში წარდგენის **საწყისი ვადა** *(ცესკოს განკარგულება №77/2024)* ➢ თუ წარდგენილი საკონკურსო დოკუმენტაცია არ შეესაბამება ცესკოს №77/2024 განკარგულებით დადგენილ მოთხოვნებს, საოლქო საარჩევნო კომისია **დაუყოვნებლივ** (დოკუმენტაციის მიღებისას) აცნობებს ამის შესახებ (შეუსაბამობის მითითებით) განმცხადებელს. შესწორებული საკონკურსო დოკუმენტაცია კომისიას **1 დღეში** უნდა დაუბრუნდეს. რეგისტრაციის ვადის გასვლის შემდეგ წარდგენილ საკონკურსო დოკუმენტაციას კომისია **არ განიხილავს** *(ცესკოს განკარგულება №77/2024)*
არაუგვიანეს 53-ე დღისა	3 სექტემბერი სამშაბათი	1. საოლქო საარჩევნო კომისია ასაჯაროებს მუნიციპალიტეტის ორგანოთა მიერ გამოყოფილი იმ შენობა-ნაგებობების ნუსხას, სადაც შესაძლებელია ჩატარდეს წინასაარჩევნო კამპანია (აგიტაცია). მუნიციპალიტეტის ორგანოთა მიერ გამოყოფილი შენობა-ნაგებობების ნუსხა უნდა გამოქვეყნდეს აგრეთვე ცესკოს ვებგვერდზე. **(ბოლო ვადა)** *(45-ე მუხლის მე-9 პუნქტი)* 2. უფლებამოსილი პარტიები ცესკოს წარუდგენენ საოლქო საარჩევნო კომისიის წევრის დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილებას **(ბოლო ვადა)** *(მე-19 მუხლის მე-6 პუნქტი, 196[1] მუხლის მე-14 პუნქტი)*
არაუგვიანეს 52-ე დღისა	4 სექტემბერი ოთხშაბათი	პარტიის, რომელსაც არჩევნების დანიშვნის დროისთვის ჰყავს მისი წარდგენით არჩეული საქართველოს პარლამენტის წევრი, შესწორებული განცხადებისა და საბუთების შემოტანის **ბოლო ვადა.** *(113-ე მუხლის მე-6 პუნქტი)*
არაუგვიანეს 51-ე დღისა	5 სექტემბერი ხუთშაბათი	საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირებისა და წევრების შესარჩევ კონკურსში მონაწილეობის მიზნით კონკურსანტთა საბუთების საოლქო საარჩევნო კომისიაში წარდგენის **ბოლო ვადა** *(ცესკოს განკარგულება №77/2024)* ➢ თუ წარდგენილი საკონკურსო დოკუმენტაცია არ შეესაბამება ცესკოს №77/2024 განკარგულებით დადგენილ მოთხოვნებს, საოლქო საარჩევნო კომისია **დაუყოვნებლივ** (დოკუმენტაციის მიღებისას) აცნობებს ამის შესახებ (შეუსაბამობის მითითებით) განმცხადებელს. შესწორებული საკონკურსო დოკუმენტაცია კომისიას **1 დღეში** უნდა დაუბრუნდეს. რეგისტრაციის ვადის გასვლის შემდეგ წარდგენილ საკონკურსო დოკუმენტაციას კომისია **არ განიხილავს** *(ცესკოს განკარგულება №77/2024)*

არაუგვიანეს 50-ე დღისა	6 სექტემბერი პარასკევი	1. შექმნილი საარჩევნო უბნის საზღვრებს, აგრეთვე საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე მდებარე, საარჩევნო კოდექსის 23-ე მუხლის მე-2 პუნქტში აღნიშნულ შენობა-ნაგებობათა ნუსხასა და მისამართებს აზუსტებს შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისია არჩევნების დღემდე არაუგვიანეს 50-ე დღისა, თვითმმართველი ქალაქის/თემის ტერიტორიაზე მოქმედ მუნიციპალიტეტის ორგანოთა მონაცემებისა და შემოწმების საფუძველზე. საარჩევნო უბნების დაზუსტებული საზღვრები დაუყოვნებლივ ქვეყნდება. *(23-ე მუხლის მე-5 პუნქტი)* 2. იმ პარტიის შესწორებული განცხადებისა და საბუთების შემოწმებისა და საარჩევნო რეგისტრაციის საკითხის გადაწყვეტის **ბოლო ვადა**, რომელსაც არჩევნების დანიშვნის დროისთვის ჰყავს მისი წარდგენით არჩეული საქართველოს პარლამენტის წევრი. თუ შესწორებული განცხადება და საბუთები შეესაბამება საარჩევნო კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს, ცესკოს თავმჯდომარე საარჩევნო რეგისტრაციაში გაატარებს პარტიასა და მის წარმომადგენელს. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი **იმავე ვადაში** გამოსცემს განკარგულებას საარჩევნო რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ (განკარგულებაში ზუსტად უნდა აღინიშნოს რეგისტრაციაზე უარის თქმის მიზეზები და საარჩევნო კოდექსის ის ნორმები, რომელთა დაუკმაყოფილებლობამაც გამოიწვია უარის თქმა). ეს განკარგულება პარტიის წარმომადგენელს **დაუყოვნებლივ** ეცნობება და **მოთხოვნისთანავე** გადაეცემა. *(113-ე მუხლის მე-7 პუნქტი)* 3. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ცესკოს მიერ მისთვის წარდგენილი გეგმის შესაბამისად, უზრუნველყოფს არჩევნების მომზადებისა და ჩატარებისათვის განკუთვნილი ასიგნების გამოყოფას საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ცესკოს შესაბამის საბიუჯეტო პროგრამულ კოდზე. *(53-ე მუხლის მე-2 პუნქტი)* 4. მუნიციპალიტეტის ორგანოები აქვეყნებენ სააგიტაციო მასალის გასაკრავად და გამოსაფენად გამოყოფილი ადგილების ან/და დადგმული სტენდების შესახებ ინფორმაციას. **(ბოლო ვადა)** *(46-ე მუხლის მე-5 პუნქტი)*
50-ე დღიდან	6 სექტემბერი პარასკევი	1. ძალაში შედის სამაუწყებლო ლიცენზიის მფლობელის, ავტორიზებული მაუწყებლის, საზოგადოებრივი მაუწყებლის, საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიის/რადიოს მიერ ცესკოსა და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიისთვის ვებგვერდზე გამოქვეყნების მიზნით გადაცემული ფასიანი წინასაარჩევნო რეკლამის განსათავსებლად საეთერო დროის ტარიფები. *(50-ე მუხლის პირველი პუნქტი)* 2. საარჩევნო კოდექსის 50-ე მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული შესაბამისი პირი ვალდებულია დაიწყოს რეკლამის განთავსება ამავე პუნქტით განსაზღვრული პირობების დაცვით. *(50-ე მუხლის პირველი პუნქტი)*
არაუადრეს 49-ე დღიდან	7 სექტემბერი შაბათი	საოლქო საარჩევნო კომისია ირჩევს საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელ პირებს და 5 წევრს. **(საწყისი ვადა)** *(24-ე მუხლის მე-2 პუნქტი, ცესკოს განკარგულება №77/2024)*
არაუგვიანეს 46-ე დღისა	10 სექტემბერი სამშაბათი	საოლქო საარჩევნო კომისია ირჩევს საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელ პირებს და წევრებს. **(ბოლო ვადა)** *(25-ე მუხლის მე-4 პუნქტი, 25[1] მუხლის მე-2 პუნქტი, ცესკოს განკარგულება №77/2024)*
არაუადრეს 45-ე დღისა	11 სექტემბერი ოთხშაბათი	1.უფლებამოსილი პარტიები შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას წარუდგენენ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილებას **(საწყისი ვადა)** *(25-ე მუხლის მე-6 პუნქტი)* 2. გადასატანი საარჩევნო ყუთის წაღების, ამომრჩევლის ბარათების დარიგებისა და სხვა ფუნქციების შესრულების მიზნით, სპეცჯგუფის არანაკლებ 2-2 წევრს შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისია ირჩევს 3 დღის ვადაში, კენჭისყრის დღემდე არაუადრეს 45-ე დღისა. **(საწყისი ვადა)** *(ცესკოს განკარგულება №80/2024)*
არაუგვიანეს 45-ე დღისა	11 სექტემბერი ოთხშაბათი	ცესკო საოლქო საარჩევნო კომისიისათვის გამოყოფილ ფულად სახსრებს ჩარიცხავს მის მიმდინარე ანგარიშზე *(53-ე მუხლის მე-4 პუნქტი)*

არაუგვიანეს მე-40 დღისა	16 სექტემბერი ორშაბათი	უფლებამოსილი პარტიის გადაწყვეტილება საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის დანიშვნის შესახებ წარედგინება შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას **(ბოლო ვადა).** *(25-ე მუხლის მე-6 პუნქტი)* ➢ თუ კომისიის წევრის დანიშვნის უფლების მქონე პარტია, საარჩევნო კოდექსით დადგენილ ვადაში, არ გამოიყენებს ამ უფლებას, ის კარგავს საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის დანიშვნის უფლებას იმავე არჩევნების საარჩევნო პერიოდში *(25-ე მუხლის 6[1] პუნქტი)*
არაუგვიანეს 35-ე დღისა	21 სექტემბერი შაბათი	ფასიანი წინასაარჩევნო რეკლამის განსათავსებლად საეთერო დროის ტარიფების შეცვლის ბოლო ვადა, გარდა საარჩევნო კოდექსით გათვალისწინებული შემთხვევისა. ტარიფის შეცვლის შემთხვევაში ახალი ტარიფი ეგზავნება საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას ვებგვერდზე გამოქვეყნების მიზნით. ეს ტარიფი ძალაში შედის კენჭისყრამდე 30-ე კალენდარულ დღეს. *(50-ე მუხლის პირველი პუნქტი)*
არაუადრეს 30-ე დღისა	26 სექტემბერი ხუთშაბათი	საუბნო საარჩევნო კომისიების მიერ ამომრჩევლის ბარათების დარიგების **საწყისი ვადა** *(35-ე მუხლის პირველი პუნქტი, ცესკოს განკარგულება №62/2024)*
არაუგვიანეს 30-ე დღისა	26 სექტემბერი ხუთშაბათი	1. პარტია ცესკოს თავმჯდომარეს წარუდგენს პარტიულ სიას. *(115-ე მუხლის მე-7)* ➢ **პარტიულ სიას უნდა ერთოდეს** საქართველოს პარლამენტის წევრობის თითოეული კანდიდატის მიერ შევსებული და ხელმოწერილი სააღრიცხვო ბარათი, უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობა, ნარკოლოგიური შემოწმების შესახებ ცნობა, საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის ან საქართველოს მოქალაქის პასპორტის ფოტოასლი და ფოტოსურათი. ნარკოლოგიური შემოწმების შესახებ ცნობა საჯაროა და ქვეყნდება ცესკოს ოფიციალურ ვებგვერდზე. *(115-ე მუხლის მე-7 პუნქტი)* ➢ საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატად რეგისტრაციის შესახებ შესაბამისი საარჩევნო კომისიისთვის განცხადების წარდგენიდან არა უგვიანეს **მე-2 დღისა** დაკავებული თანამდებობიდან უნდა გადადგნენ და განთავისუფლდნენ საარჩევნო კოდექსის 112-ე მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული თანამდებობის პირები. თანამდებობებიდან გადადგომისა და განთავისუფლების შესახებ სათანადო სამართლებრივი აქტი **დაუყოვნებლივ** უნდა წარედგინოს შესაბამის საარჩევნო კომისიას. *(112-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები)* ➢ პარტიის მიერ წარდგენილ პარტიულ სიას ამოწმებს ცესკოს სათანადო სამსახური და ამ სიის წარდგენიდან **10 დღის ვადაში,** მაგრამ არა უგვიანეს არჩევნების დღემდე **26-ე დღისა** დასკვნას წარუდგენს ცესკოს თავმჯდომარეს. *(117-ე მუხლის მე-2 პუნქტი)* 2. ცესკო თავის ოფიციალურ ვებგვერდზე აქვეყნებს რეგისტრირებული პარტიების სიას განცხადებების წარდგენის რიგის მიხედვით, აგრეთვე იმ პარტიების სიას, რომელთაც უარი ეთქვათ რეგისტრაციაზე ან რომელთა რეგისტრაციაც გაუქმდა, და ამის მიზეზებს. *(113-ე მუხლის მე-11 პუნქტი)* 3. გადასატანი საარჩევნო ყუთის წაღების, ამომრჩევლის ბარათების დარიგებისა და სხვა ფუნქციების შესრულების მიზნით, სპეცჯგუფის არანაკლებ 2-2 წევრს შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისია ირჩევს 3 დღის ვადაში, კენჭისყრის დღემდე არუგვიანეს 30-ე დღისა. **(ბოლო ვადა)** *(ცესკოს განკარგულება №80/2024)* 4. სხვა სახელმწიფოში საარჩევნო უბნებს ქმნის ცესკო საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მონაცემების საფუძველზე და განკარგულებით აცხადებს შესაბამის კონკურსს *(23-ე მუხლის მე-7 პუნქტი, ცესკოს განკარგულება №79/2024)*

30-ე დღისთვის	26 სექტემბერი ხუთშაბათი	თუ საუბნო საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში დადგენილზე ნაკლები რაოდენობის წევრი აღმოჩნდა, ზემდგომი საოლქო საარჩევნო კომისია, საუბნო საარჩევნო კომისიის გამოკლებული წევრების ადგილზე 3 დღის ვადაში ირჩევს კომისიის წევრებს კონკურსში მონაწილე კანდიდატთაგან ან ხელახლა გამოცხადებული კონკურსის საფუძველზე. საოლქო საარჩევნო კომისია კანდიდატთა საკონკურსო დოკუმენტაციას განიხილავს და საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა არჩევას ახდენს არჩევნების დღემდე არა უგვიანეს 27-ე დღისა. ხელახალ კონკურსში მონაწილეობისათვის, საკონკურსო დოკუმენტაცია უნდა წარედგინოს საოლქო საარჩევნო კომისიას არჩევნების დღემდე არაუგვიანეს 29-ე დღისა *(25-ე მუხლის მე-8 პუნქტი, ცესკოს განკარგულება №77/2024)*
30-ე დღიდან	26 სექტემბერი ხუთშაბათი	1. ახალშექმნილი საუბნო საარჩევნო კომისია ფუნქციონირებას იწყებს და მის წევრთა უფლებამოსილებები იწყება არჩევნების დღემდე 30-ე დღიდან. *(25-ე მუხლის მე-14 პუნქტი)* 2. საუბნო საარჩევნო კომისიას გადაეცემა ცესკოს მიერ დამოწმებული ამომრჩეველთა ერთიანი სიის საჯარო ინფორმაციისთვის მიკუთვნებული ვერსია. ამომრჩეველთა ერთიანი სიის საჯარო ინფორმაციისთვის მიკუთვნებული ვერსია (ფოტოსურათების გარეშე) დაუყოვნებლივ უნდა გამოიკრას საუბნო საარჩევნო კომისიის შენობაში თვალსაჩინო ადგილას. *(31-ე მუხლის მე-11 პუნქტი)* 3. ძალაში შედის ფასიანი წინასაარჩევნო რეკლამის განსათავსებლად საეთერო დროის შეცვლილი ტარიფები. *(50-ე მუხლის პირველი პუნქტი)*
არაუგვიანეს 29-ე დღისა	27 სექტემბერი პარასკევი	1. საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა სიას ცესკოს ოფიციალურ ვებგვერდზე აქვეყნებს შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისია. *(25-ე მუხლის მე-7 პუნქტი)* 2. საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა შესარჩევ ხელახალ კონკურსში მონაწილეობისათვის საკონკურსო დოკუმენტაცია წარედგინება საოლქო საარჩევნო კომისიას. **(ბოლო ვადა)** *(ცესკოს განკარგულება №77/2024)* 3. საუბნო საარჩევნო კომისია ვალდებულია ამომრჩეველთა სიები და მათთან დაკავშირებით საჩივრის შეტანის კანონით განსაზღვრული წესი აღნიშნული სიების კანონით დადგენილი წესით მისთვის გადაცემიდან არაუგვიანეს მომდევნო დღისა, თვალსაჩინო ადგილას გამოაკრას საუბნო საარჩევნო კომისიისა და კენჭისყრის შენობებში. ამ მოთხოვნის შეუსრულებლობისთვის პასუხისმგებლობა ეკისრება საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს *(34-ე მუხლის პირველი პუნქტი)* 4. საარჩევნო კოდექსის 24-ე მუხლის მე-4 პუნქტით უფლებამოსილი პარტიის გადა-წყვეტილება სხვა სახელმწიფოში შექმნილი საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის დანიშვნის შესახებ წარედგინება ცესკოს**(საწყისი ვადა)** *(25-ე მუხლის მე-6 პუნქტი)* 5. სხვა სახელმწიფოში შექმნილი საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირებისა და წევრების შესარჩევ კონკურსში მონაწილეთა საკონკურსო დოკუმენტაცია წარედგინება ცესკოს **(საწყისი ვადა)** *(ცესკოს განკარგულება №79/2024)*
არაუგვიანეს 28-ე დღისა	28 სექტემბერი შაბათი	დაკავებული თანამდებობიდან უნდა გადადგნენ და განთავისუფლდნენ საარჩევნო კოდექსის 112-ე მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული თანამდებობის პირები. თანამდებობებიდან გადადგომისა და განთავისუფლების შესახებ სათანადო სამართლებრივი აქტი დაუყოვნებლივ უნდა წარედგინოს შესაბამის საარჩევნო კომისიას. წინააღმდეგ შემთხვევაში პირს უარი ეთქმება საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატად რეგისტრაციაზე, ხოლო თუ რეგისტრაცია განხორციელდა – რეგისტრაცია უქმდება *(112-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები)*
არაუგვიანეს 27-ე დღისა	29 სექტემბერი კვირა	თუ საუბნო საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში დადგენილზე ნაკლები რაოდენობის წევრი აღმოჩნდა, ზემდგომი საოლქო საარჩევნო კომისია საუბნო საარჩევნო კომისიის გამოკლებული წევრების ადგილზე ირჩევს კომისიის წევრებს კონკურსში მონაწილე კანდიდატთაგან ან ხელახლა გამოცხადებული კონკურსის საფუძველზე. **(ბოლო ვადა)** *(25-ე მუხლის მე-8 პუნქტი, ცესკოს განკარგულება №77/2024)*

არაუგვიანეს 26-ე დღისა	30 სექტემბერი ორშაბათი	პარტიის მიერ წარდგენილ პარტიულ სიას ამოწმებს ცესკოს სათანადო სამსახური და დასკვნას წარუდგენს ცესკოს თავმჯდომარეს **(ბოლო ვადა).** *(117-ე მუხლის მე-2 პუნქტი)* ➢ ცესკოს თავმჯდომარე, დასკვნის წარდგენიდან **3 დღის ვადაში,** მაგრამ არა უგვიანეს არჩევნების დღემდე **25-ე დღისა**, საარჩევნო რეგისტრაციაში ატარებს პარტიულ სიას და პარტიის მიერ წარდგენილ კანდიდატებს, თუ წარდგენილი პარტიული სია და თანდართული საბუთები შეესაბამება საარჩევნო კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს. შეუსაბამობის შემთხვევაში კი წერილობით აცნობებს პარტიის წარმომადგენელს საარჩევნო კოდექსით დადგენილ მოთხოვნებთან პარტიულ სიასა და თანდართულ საბუთებში არსებული მონაცემების შეუსაბამობის შესახებ *(შეუსაბამობის მითითებით)*, თუ არსებობს ასეთი შეუსაბამობა, და მას **3 დღე** ეძლევა სიისა და საბუთების სრულყოფისათვის. *(117-ე მუხლის მე-2 პუნქტი)*
არაუგვიანეს 25-ე დღისა	1 ოქტომბერი სამშაბათი	1. ცესკოს თავმჯდომარე საარჩევნო რეგისტრაციაში ატარებს პარტიულ სიას და პარტიის მიერ წარდგენილ კანდიდატებს, თუ წარდგენილი პარტიული სია და თანდართული საბუთები შეესაბამება საარჩევნო კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს. შეუსაბამობის შემთხვევაში კი წერილობით აცნობებს პარტიის წარმომადგენელს საარჩევნო კოდექსით დადგენილ მოთხოვნებთან პარტიულ სიასა და თანდართულ საბუთებში არსებული მონაცემების შეუსაბამობის შესახებ *(შეუსაბამობის მითითებით)*, თუ არსებობს ასეთი შეუსაბამობა, და მას **3 დღე** ეძლევა სიისა და საბუთების სრულყოფისათვის. *(117-ე მუხლის მე-2 პუნქტი)* 2. ცესკო თავის ოფიციალურ ვებგვერდზე აქვეყნებს რეგისტრირებულ პარტიულ სიებს. *(38[1] მუხლის მე-11 პუნქტი)* 3. შესაბამისი სამხედრო დანაყოფების/ნაწილების მეთაურები ან შესაბამისი დაწესებულებების/დანაყოფების ხელმძღვანელები ადგენენ და გადასცემენ შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სპეციალური პენიტენციური სამსახურის, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის, საქართველოს დაზვერვის სამსახურისა და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის სამხედრო მოსამსახურეებისა და სპეციალური წოდების მქონე პირების სიას, რომელთა სამსახურის პირობები ან ჯანმრთელობის მდგომარეობა მოითხოვს არჩევნების დღეს მათ ყოფნას რეგისტრაციის ადგილისაგან განსხვავებულ მისამართზე, რომელიც სხვა საარჩევნო ოლქს მიეკუთვნება. *(32-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ და „დ.ა“ ქვეპუნქტები)* 4. სხვა სახელმწიფოში შექმნილი საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირებისა და წევრების შესარჩევ კონკურსში მონაწილეთა საკონკურსო დოკუმენტაცია წარედგინება ცესკოს **(ბოლო ვადა)** *(ცესკოს განკარგულება №79/2024)*
არაუადრეს 24-ე დღისა	2 ოქტომბერი ოთხშაბათი	ცესკო ირჩევს სხვა სახელმწიფოში შექმნილი საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებს **(საწყისი ვადა)** *(25-ე მუხლის მე-5 პუნქტი)*
არაუგვიანეს 22-ე დღისა	4 ოქტომბერი პარასკევი	1. პარტიას უფლება აქვს, გამოიწვიოს და დანიშნოს საოლქო საარჩევნო კომისიის წევრი. **(ბოლო ვადა)** *(მე-19 მუხლის მე-7 პუნქტი)* ➢ პარტიას უფლება აქვს, კენჭისყრის დღემდე ბოლო 3 კვირის განმავლობაში საოლქო საარჩევნო კომისიის ახალი წევრი დანიშნოს მხოლოდ დანიშნული წევრის გადადგომის ან გარდაცვალების შემთხვევაში, აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით შეუძლებელია პირის მიერ საოლქო საარჩევნო კომისიის წევრის საქმიანობის განხორციელება. *(მე-19 მუხლის მე-7 პუნქტი)* 2. ცესკოს თავმჯდომარეს წარედგინება პარტიის შესწორებული პარტიული სია და თანდართული საბუთები **(ბოლო ვადა).** *(117-ე მუხლის მე-2 პუნქტი)* ➢ შესწორებული მონაცემები უნდა შემოწმდეს და საარჩევნო რეგისტრაციის

		საკითხი უნდა გადაწყდეს მათი წარდგენიდან **5 დღის ვადაში,** მაგრამ არაუგვიანეს არჩევნების დღემდე **მე-20 დღისა**. შესწორებული პარტიული სიისა და თანდართული საბუთების რეგისტრაციას/რეგისტრაციაზე უარის თქმას ახორციელებს ცესკოს თავმჯდომარე საარჩევნო კოდექსის 117-ე მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი წესითა და ვადებში. *(117-ე მუხლის მე-3 პუნქტი)*
არა უგვიანეს 21-ე დღისა	5 ოქტომბერი შაბათი	1. ამომრჩეველი, რომელსაც აქვს იურიდიული ძალის მქონე საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა ან საქართველოს მოქალაქის პასპორტი და რომელიც მოიხსნა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით რეგისტრაციიდან ან რომლის რეგისტრაციაც ძალადაკარგულად გამოცხადდა სააგენტოს გადაწყვეტილებით, ამომრჩეველთა ერთიან სიაში შეიყვანება ბოლო რეგისტრაციის ადგილის (მისამართის) ან ფაქტობრივი (დროებითი) საცხოვრებელი ადგილის (მისამართის) მიხედვით. სააგენტოს მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში ფაქტობრივი (დროებითი) საცხოვრებელი ადგილის (მისამართის) არარსებობის შემთხვევაში შესაბამისი ამომრჩეველი არჩევნებში მონაწილეობისათვის ვალდებულია გამოცხადდეს სააგენტოში, მიუთითოს თავისი ფაქტობრივი (დროებითი) საცხოვრებელი ადგილი (მისამართი) და გადაიღოს ფოტოსურათი ციფრული ფორმატით. ამ შემთხვევაში აღნიშნული ამომრჩეველი თავისუფლდება „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს და დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში საკონსულო თანამდებობის პირის მიერ გაწეული მომსახურების ვადების, ამ მომსახურებისათვის დაწესებული საფასურების ოდენობების და საფასურის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №508 დადგენილებით განსაზღვრული ფოტოსურათის გადაღებისათვის დადგენილი მომსახურების საფასურის გადახდისაგან (ბოლო ვადა). (*184-ე მუხლის პირველი პუნქტი)* 2. ამომრჩეველი, რომელიც რეგისტრირებულია მისამართის მითითების გარეშე და რომელსაც აქვს იურიდიული ძალის მქონე საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა ან საქართველოს მოქალაქის პასპორტი, ამომრჩეველთა ერთიან სიაში შეიყვანება სააგენტოს მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში არსებული ფაქტობრივი (დროებითი) საცხოვრებელი ადგილის (მისამართის) მიხედვით, ასეთის ადგილის (მისამართის) არარსებობის შემთხვევაში შესაბამისი ამომრჩეველი არჩევნებში მონაწილეობისათვის ვალდებულია გამოცხადდეს სააგენტოში, მიუთითოს თავისი ფაქტობრივი (დროებითი) საცხოვრებელი ადგილი (მისამართი) და გადაიღოს ფოტოსურათი ციფრული ფორმატით. ამ შემთხვევაში აღნიშნული ამომრჩეველი თავისუფლდება „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს და დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში საკონსულო თანამდებობის პირის მიერ გაწეული მომსახურების ვადების, ამ მომსახურებისათვის დაწესებული საფასურების ოდენობების და საფასურის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №508 დადგენილებით განსაზღვრული ფოტოსურათის გადაღებისათვის დადგენილი მომსახურების საფასურის გადახდისაგან. **(ბოლო ვადა)** *(184-ე მუხლის მე-2 პუნქტი)*
არაუგვიანეს მე-20 დღისა	6 ოქტომბერი კვირა	1. ცესკოს თავმჯდომარე ახორციელებს პარტიის შესწორებული პარტიული სიისა და თანდართული საბუთების რეგისტრაციას/რეგისტრაციაზე უარის თქმას საარჩევნო კოდექსის 117-ე მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი წესითა და ვადებში. **(ბოლო ვადა)** *(117-ე მუხლის მე-3 პუნქტი)* 2. საუბნო საარჩევნო კომისიების მიერ ამომრჩევლის ბარათების დარიგების **ბოლო ვადა,** რომელიც უკავშირდება ამომრჩეველთა შესახებ მონაცემებში/ამომრჩეველთა სიებში ცვლილებების შეტანას *(ცესკოს განკარგულება №62/2024)* 3. საარჩევნო კოდექსის 24-ე მუხლის მე-4 პუნქტით უფლებამოსილი პარტიის გადაწყვეტილება სხვა სახელმწიფოში შექმნილი საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის დანიშვნის შესახებ წარედგინება ცესკოს **(ბოლო ვადა)** *(25-ე მუხლის მე-6 პუნქტი)* 4. ცესკოს ირჩევს სხვა სახელმწიფოში შექმნილი საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელ პირებსა და წევრებს. *(25-ე მუხლის მე-5 პუნქტი, ცესკოს განკარგულება*

		№79/2024)
მე-20 დღიდან	6 ოქტომბერი კვირა	აკრძალულია საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის გამოწვევა. *(29-ე მუხლის მე-9 პუნქტი)*
არაუგვიანეს მე-19 დღისა	7 ოქტომბერი ორშაბათი	1. ამომრჩევლები, რომლებიც არ დგანან საქართველოს საკონსულო აღრიცხვაზე და არ არიან რეგისტრირებული საზღვარგარეთ, რეგისტრაციას გაივლიან სხვა სახელმწიფოში შექმნილ საუბნო საარჩევნო კომისიაში, საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობაში ან საქართველოს საკონსულო დაწესებულებაში **(ბოლო ვადა)** *(32-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი)* 2. თუ სხვა სახელმწიფოში შექმნილი საუბნო საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში დადგენილზე ნაკლები რაოდენობის წევრი აღმოჩნდა, ცესკო უფლებამოსილია საუბნო საარჩევნო კომისიის გამოკლებული წევრების ადგილზე 3 დღის ვადაში აირჩიოს კომისიის წევრები კონკურსში მონაწილე კანდიდატთაგან ან ხელახლა გამოცხადებული კონკურსის საფუძველზე. ცესკო კანდიდატთა საკონკურსო დოკუმენტაციას განიხილავს და საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა არჩევას ახდენს არჩევნების დღემდე არაუგვიანეს მე-16 დღისა **(საწყისი ვადა)** *(25-ე მუხლის მე-8 პუნქტი, ცესკოს განკარგულება №79/2024)*
არაუგვიანეს მე-18 დღისა	8 ოქტომბერი სამშაბათი	1. კენჭისყრის დღეს სხვა სახელმწიფოში მყოფი ამომრჩევლები, რომლებიც დგანან საქართველოს საკონსულო აღრიცხვაზე, ამომრჩევლები, რომლებიც რეგისტრირებული არიან საზღვარგარეთ და არ დგანან საქართველოს საკონსულო აღრიცხვაზე, აგრეთვე ამომრჩევლები, რომლებიც არ დგანან საქართველოს საკონსულო აღრიცხვაზე და არ არიან რეგისტრირებული საზღვარგარეთ, მაგრამ არჩევნების დღემდე არაუგვიანეს მე-19 დღისა რეგისტრაციას გაივლიან სხვა სახელმწიფოში შექმნილ საუბნო საარჩევნო კომისიაში, საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობაში ან საქართველოს საკონსულო დაწესებულებაში, ამ პირთა, (გარდა საზღვარგარეთ რეგისტრირებული პირებისა) სიას ადგენს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო და გადასცემს ცესკოს. *(32-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი)* 2. საზღვარგარეთ რეგისტრირებულ პირთა სიას ადგენს სააგენტო და გადასცემს ცესკოს *(32-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი)* 3. სხვა სახელმწიფოში შექმნილი საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა ხელახალ კონკურსში მონაწილეობისათვის ცესკოს უნდა წარედგინოს ცესკოს განკარგულების №79/2024 პირველი მუხლით გათვალისწინებული საკონკურსო დოკუმენტაცია *(ცესკოს განკარგულება №79/2024)* 4. საარჩევნო რეგისტრაციის მქონე პარტიას, საარჩევნო კოდექსის 39-ე მუხლით განსაზღვრულ დამკვირვებელ ორგანიზაციას, ამომრჩეველს უფლება აქვს, გაეცნოს ცესკოში, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებში არსებულ ამომრჩეველთა სიების საჯარო ინფორმაციისთვის მიკუთვნებულ ვერსიას (ამომრჩეველს უფლება აქვს, მოითხოვოს მხოლოდ მის და მისი ოჯახის წევრთა შესახებ არსებული ყველა მონაცემის გაცნობა და მათში ცვლილების შეტანა) და უზუსტობის აღმოჩენის შემთხვევაში მოითხოვოს ამომრჩეველთა შესახებ მონაცემებსა და ამომრჩეველთა სიებში ცვლილების შეტანა, რისთვისაც განცხადებით მიმართავს შესაბამის საარჩევნო კომისიას ან/და სააგენტოს შესაბამის ტერიტორიულ სამსახურს. ამომრჩეველთა ერთიანი სიის საჯარო ინფორმაციისთვის განკუთვნილი ფოტოსურათებიანი ვერსია ზემოაღნიშნულ პირს გადაეცემა მხოლოდ ელექტრონული სახით. უფლებამოსილმა პირმა სიის მისაღებად შესაბამის საარჩევნო კომისიას უნდა წარუდგინოს სათანადო მოცულობის მქონე ინფორმაციის ელექტრომატარებელი **(ბოლო ვადა)** *(31-ე მუხლის მე-7 და 7[1] პუნქტები, ცესკოს განკარგულება №62/2024)* ➢ საარჩევნო პერიოდში საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია ამოწმებს ამომრჩეველთა სიებს. შემოწმების შედეგებს განიხილავს და სათანადო გადაწყვეტილებას იღებს საოლქო საარჩევნო კომისია განცხადების მიღებიდან 2 დღის ვადაში. კომისიის განკარგულება ამომრჩეველთა შესახებ

		მონაცემებში/ამომრჩეველთა სიებში ცვლილების შეტანაზე უარის თქმის შესახებ დასაბუთებული უნდა იყოს და მისი გამოცემის მომდევნო დღიდან, მოთხოვნისთანავე უნდა გადაეცეს განმცხადებელს *(31-ე მუხლის მე-8 პუნქტი)*
არაუგვიანეს მე-17 დღისა	9 ოქტომბერი ოთხშაბათი	სხვა სახელმწიფოში შექმნილი საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების კონკურსში მონაწილეთაგან ან ხელახლა გამოცხადებული კონკურსის შემთხვევაში ცესკო საკონკურსო დოკუმენტაციას განიხილავს კონკურსში მონაწილეთა დაუსწრებლად. ცესკო საუბნო საარჩევნო კომისიის წევრობის კანდიდატებს ირჩევს სახელობითი კენჭისყრით. **(ბოლო ვადა)** *(25-ე მუხლის მე-8 პუნქტი, ცესკოს განკარგულება №79/2024)*
არაუგვიანეს მე-16 დღისა	10 ოქტომბერი ხუთშაბათი	1. საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატს, მის წარმდგენ პარტიას უფლება აქვს, უარი თქვას არჩევნებში მონაწილეობაზე ან წარდგენილ კანდიდატზე, რისთვისაც განცხადებით უნდა მიმართოს საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას. საარჩევნო სუბიექტის ან ცალკეული კანდიდატების არჩევნებიდან მოხსნის შესახებ ინფორმაციას თავის ოფიციალურ ვებგვერდზე დაუყოვნებლივ აქვეყნებს ცესკო. **(ბოლო ვადა)** *(120-ე მუხლის პირველი და მე-4 პუნქტები)* 2. საარჩევნო პერიოდში საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია ამოწმებს ამომრჩეველთა სიებს. შემოწმების შედეგებს განიხილავს და სათანადო გადაწყვეტილებას იღებს საოლქო საარჩევნო კომისია განცხადების მიღებიდან 2 დღის ვადაში, მაგრამ არჩევნების დღემდე არაუგვიანეს მე-16 დღისა. ამ კომისიის განკარგულება ამომრჩეველთა შესახებ მონაცემებში/ამომრჩეველთა სიებში ცვლილების შეტანაზე უარის თქმის შესახებ დასაბუთებული უნდა იყოს და მისი გამოცემის მომდევნო დღიდან, მოთხოვნისთანავე უნდა გადაეცეს განმცხადებელს *(31-ე მუხლის მე-8 პუნქტი)* ➢ საარჩევნო კოდექსის 31-ე მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული მიზნებისათვის, საოლქო საარჩევნო კომისიის მიმართვის შემთხვევაში, სააგენ-ტო / საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ან/და მისი ტერიტორიული ორგანოები ვალდებული არიან დაუყოვნებლივ მიაწოდონ საოლქო საარჩევნო კომისიას შესაბამისი ინფორმაცია *(31-ე მუხლის მე-8[1] პუნქტი)* ➢ საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულება ამომრჩეველთა შესახებ მონაცემებში/ამომრჩეველთა სიებში ცვლილების შეტანის შესახებ მიღებიდან 2 დღის ვადაში გადაეცემა შესაბამის საუბნო საარჩევნო კომისიას, ცესკოსა და სააგენტოს შესაბამის ტერიტორიულ სამსახურს, მათ ხელთ არსებულ მონაცემთა ბაზებში შესაბამისი ასახვის მიზნით. *(31-ე მუხლის მე-9 პუნქტი, ცესკოს განკარგულება №62/2024)*
არაუგვიანეს მე-15 დღისა	11 ოქტომბერი პარასკევი	საოლქო საარჩევნო კომისია გამონაკლის შემთხვევებში (საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა დისლოკაციის ადგილი საზღვარგარეთ, პენიტენციური დაწესებულება, საავადმყოფო და სხვა სტაციონარული სამკურნალო დაწესებულება, სათნოების სახლი, მიუსაფართა თავშესაფარი, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა პანსიონატი და სხვა სოციალური მიზნის მქონე დაწესებულება, რომელშიც 50-ზე მეტი ამომრჩეველია) ქმნის საარჩევნო უბანს. ზემოაღნიშნული დაწესებულება, რომელშიც ამომრჩეველთა რაოდენობა 50-ს არ აღემატება, საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულებით მიემაგრება მასთან არსებულ უახლოეს საარჩევნო უბანს *(23-ე მუხლის მე-4 პუნქტი)* ➢ საოლქო საარჩევნო კომისია გამონაკლის შემთხვევაში საარჩევნო უბნის შექმნიდან არა უგვიანეს 2 დღისა ცესკოს ოფიციალურ ვებგვერდზე აქვეყნებს საარჩევნო უბნების ნომრებს, საუბნო საარჩევნო კომისიების მისამართებს, საკონტაქტო ტელეფონის ნომრებსა და სხვა რეკვიზიტებს *(23-ე მუხლის მე-8 პუნქტი)*
მე-15 დღიდან	11 ოქტომბერი პარასკევი	1. საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულება ამომრჩეველთა შესახებ მონაცემებში/ამომრჩეველთა სიებში ცვლილების შეტანაზე უარის თქმის შესახებ დასაბუთებული უნდა იყოს და მოთხოვნისთანავე უნდა გადაეცეს განმცხადებელს *(31-ე მუხლის მე-8 პუნქტი)* 2. ამომრჩეველთა სიებში, არჩევნების დღემდე მე-15-დან მე-12 დღემდე, ცვლილება

		შეიტანება მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით. **(საწყისი ვადა)** *(31-ე მუხლის მე-13 პუნქტი)*
არაუადრეს მე-14 დღისა	12 ოქტომბერი შაბათი	1. გამონაკლის შემთხვევაში შექმნილი საუბნო საარჩევნო კომისიების დაკომპლექტების მიზნით, საოლქო საარჩევნო კომისია აცხადებს გამონაკლის შემთხვევაში შექმნილი საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირებისა და წევრების შესარჩევ კონკურსს *(ცესკოს განკარგულება №78/2024)* 2. საარჩევნო კოდექსის 24-ე მუხლის მე-4 პუნქტით უფლებამოსილი პარტიის გადაწყვეტილება გამონაკლის შემთხვევაში შექმნილი საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის დანიშვნის შესახებ წარედგინება შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას. **(საწყისი ვადა)** *(25-ე მუხლის მე-6 პუნქტი)*
არაუგვიანეს მე-14 დღისა	12 ოქტომბერი შაბათი	1. საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულება ამომრჩეველთა შესახებ მონაცემებში/ამომრჩეველთა სიებში ცვლილების შეტანის შესახებ გადაეცემა შესაბამის საუბნო საარჩევნო კომისიას, ცესკოსა და სააგენტოს შესაბამის ტერიტორიულ სამსახურს, მათ ხელთ არსებულ მონაცემთა ბაზებში შესაბამისი ასახვის მიზნით, ხოლო ამომრჩევლის განცხადების საფუძველზე ამომრჩეველთა სიაში შესაბამისი ცვლილებების შეტანის შესახებ სააგენტოს შესაბამისი ტერიტორიული სამსახურის მიერ მიღებული გადაწყვეტილების ასლი დაუყოვნებლივ ეგზავნება ამომრჩეველთა ერთიან სიაში ასახვის მიზნით, შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიასა და ცესკოს. **(ბოლო ვადა)** *(31-ე მუხლის მე-9 პუნქტი, ცესკოს განკარგულება №62/2024)* 2. საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულება ამომრჩეველთა შესახებ მონაცემებში/ამომრჩეველთა სიებში ცვლილების შეტანაზე უარის თქმის შესახებ მისი გამოცემიდან **2 დღის ვადაში** შეიძლება გასაჩივრდეს შესაბამის რაიონულ/საქალაქო სასამართლოში. **(ბოლო ვადა)** *(31-ე მუხლის მე-10 პუნქტი)* ➢ სასამართლოს მიერ სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში სასამართლოს გადაწყვეტილება **2 დღის ვადაში, მაგრამ არჩევნების დღემდე არაუგვიანეს მე-13 დღისა,** უნდა გადაეცეს საოლქო საარჩევნო კომისიას, რომელმაც სათანადო ინფორმაცია დაუყოვნებლივ უნდა მიაწოდოს ცესკოს და შესაბამის საუბნო საარჩევნო კომისიას. საარჩევნო კომისიებმა სათანადო ცვლილება დაუყოვნებლივ უნდა შეიტანონ ამომრჩეველთა შესახებ მონაცემებში/ამომრჩეველთა სიებში *(31-ე მუხლის მე-10 პუნქტი)*
არაუგვიანეს მე-13 დღისა	13 ოქტომბერი კვირა	1. საოლქო საარჩევნო კომისია ცესკოს ოფიციალურ ვებგვერდზე აქვეყნებს გამონაკლის შემთხვევაში შექმნილი საარჩევნო უბნების ნომრებს, საუბნო საარჩევნო კომისიების მისამართებს, საკონტაქტო ტელეფონის ნომრებსა და სხვა რეკვიზიტებს. **(ბოლო ვადა)** *(23-ე მუხლის მე-8 პუნქტი)* 2. ამომრჩეველთა სიებში, არჩევნების დღემდე მე-15-დან მე-12 დღემდე, ცვლილება შეიტანება მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით. **(ბოლო ვადა)** *(31-ე მუხლის მე-13 პუნქტი)* 3. სასამართლოს მიერ სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც ეხება ამომრჩეველთა შესახებ მონაცემებში/ ამომრჩეველთა სიებში ცვლილების შეტანაზე უარის თქმის შესახებ საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულებას, უნდა გადაეცეს საოლქო საარჩევნო კომისიას, რომელმაც სათანადო ინფორმაცია დაუყოვნებლივ უნდა მიაწოდოს ცესკოს და შესაბამის საუბნო საარჩევნო კომისიას. საარჩევნო კომისიებმა სათანადო ცვლილება დაუყოვნებლივ უნდა შეიტანონ ამომრჩეველთა შესახებ მონაცემებში/ ამომრჩეველთა სიებში. **(ბოლო ვადა)** (*31-ე მუხლის მე-10 პუნქტი)*
არაუგვიანეს მე-12 დღისა	14 ოქტომბერი ორშაბათი	გამონაკლის შემთხვევაში შექმნილი საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირებისა და წევრების შესარჩევ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად კონკურსანტთა საბუთების საოლქო საარჩევნო კომისიაში წარდგენის **ბოლო ვადა.** *(ცესკოს განკარგულება №78/2024)* ➢ თუ წარდგენილი საკონკურსო დოკუმენტაცია არ შეესაბამება ცესკოს №78/2024 განკარგულებით დადგენილ მოთხოვნებს, საოლქო საარჩევნო კო-

		მისია **დაუყოვნებლივ** (დოკუმენტაციის მიღებისას) აცნობებს ამის შესახებ (შეუსაბამობის მითითებით) განმცხადებელს. შესწორებული საკონკურსო დოკუმენტაცია კომისიას **1 დღეში** უნდა დაუბრუნდეს. რეგისტრაციის ვადის გასვლის შემდეგ წარდგენილ საკონკურსო დოკუმენტაციას კომისია **არ განიხილავს** *(ცესკოს განკარგულება №78/2024)*
მე-12 დღიდან	14 ოქტომბერი ორშაბათი	**აკრძალულია** ამომრჩეველთა სიებში ცვლილების შეტანა, გარდა საარჩევნო კოდექსის 31-ე მუხლის მე-12 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა. იმ ამომრჩევლის რეგისტრაციის საკითხს, რომელმაც კანონით დადგენილ ვადაში ვერ გაიარა რეგისტრაცია, განცხადებისა და შესაბამისი დოკუმენტების (საქართველოს მოქალაქის პასპორტში ჩანაწერი საზღვრის გადაკვეთის შესახებ, ცნობა სტაციონარული სამკურნალო დაწესებულებიდან, პენიტენციური დაწესებულებიდან გათავისუფლების ცნობა) წარდგენის შემთხვევაში წყვეტს საოლქო საარჩევნო კომისია განკარგულებით. ამომრჩევლის განცხადებას საოლქო საარჩევნო კომისია განიხილავს მისი მიღებიდან **2 დღის ვადაში,** ხოლო თუ კენჭისყრის დღემდე დარჩენილია **2 დღეზე ნაკლები – დაუყოვნებლივ**. უარყოფითი გადაწყვეტილების შესახებ ამომრჩეველს უნდა ეცნობოს დაუყოვნებლივ *(31-ე მუხლის მე-12 და მე-13 პუნქტები)*
არაუგვიანეს მე-11 დღისა	15 ოქტომბერი სამშაბათი	1. სამკურნალო დაწესებულების ხელმძღვანელი ადგენს და შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას გადასცემს იმ ამომრჩეველთა სიას, რომლებიც სამკურნალოდ წვანან საავადმყოფოში ან სხვა სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებაში და, მათი ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, კენჭისყრის დღისთვის ვერ იქნებიან გაწერილი ამ დაწესებულებიდან *(32-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი)* 2. პენიტენციური დაწესებულების ხელმძღვანელი ადგენს და შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას გადასცემს იმ ამომრჩეველთა სიას, რომლებიც კენჭისყრის დღეს პატიმრობაში იმყოფებიან *(32-ე მუხლის პირველი პუნქტის "გ" ქვეპუნქტი)* 3. შესაბამისი დაწესებულების ხელმძღვანელი ადგენს კენჭისყრის დღეს ადმინისტრაციულ პატიმრობაში მყოფ ამომრჩეველთა სიას და გადასცემს შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას *(32-ე მუხლის პირველი პუნქტის „$გ^1$“ ქვეპუნქტი)* 4. შესაბამისი სამხედრო დანაყოფების/ნაწილების მეთაურები ან შესაბამისი დაწესებულებების/დანაყოფების ხელმძღვანელები სამხედრო სამსახურში გაწვევის შედეგების გათვალისწინებით, ადგენენ და გადასცემენ შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სპეციალური პენიტენციური სამსახურის, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის, საქართველოს დაზვერვის სამსახურისა და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის სამხედრო მოსამსახურეებისა და სპეციალური წოდების მქონე პირების სიას, რომელთა სამსახურის პირობები ან ჯანმრთელობის მდგომარეობა მოითხოვს არჩევნების დღეს მათ ყოფნას რეგისტრაციის ადგილისაგან განსხვავებულ მისამართზე, რომელიც სხვა საარჩევნო ოლქს მიეკუთვნება *(32-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ და „დ.ბ“ ქვეპუნქტები)* 5. საარჩევნო ადმინისტრაციის ის მოხელეები, რომლებიც საარჩევნო კომისიებში საქმიანობის გამო კენჭისყრის დღეს ვერ მონაწილეობენ არჩევნებში თავიანთი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით, წინასწარ განსაზღვრული საარჩევნო უბნის სპეციალურ სიაში შეჰყავს შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას *(32-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი)* 6. საოლქო საარჩევნო კომისია შესაბამის საუბნო საარჩევნო კომისიას გადასცემს კენჭისყრის დღეს სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებაში მყოფი ამომრჩევლის შესახებ ინფორმაციას *(33-ე მუხლის მე-2 პუნქტი)* 7. ეტლით მოსარგებლე ამომრჩეველი უფლებამოსილია არჩევნებში მონაწილეობა მიიღოს შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიის სამოქმედო ტერიტორიაზე არსებულ ნებისმიერ ადაპტირებულ საარჩევნო უბანზე, რისთვისაც მან უნდა მიმართოს შესაბამის საოლქო ან საუბნო საარჩევნო კომისიას *(მე-200^2 მუხლის*

		პირველი პუნქტი) ➢ საარჩევნო უბნის შეცვლის მიზნით საუბნო საარჩევნო კომისიისათვის მიმართვის შემთხვევაში, ამ ამომრჩევლის შესახებ ინფორმაციას საუბნო საარჩევნო კომისია **ამავე ვადაში** გადასცემს შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას *(მე-200² მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი)* 8. კენჭისყრის დღეს კენჭისყრის შენობაში მისვლის შეუძლებლობის შემთხვევაში, ამომრჩეველი გადასატანი საარჩევნო ყუთის მეშვეობით ხმის მიცემის მოთხოვნით მიმართავს საუბნო საარჩევნო კომისიას **(ბოლო ვადა)** *(33-ე მუხლის მე-2 პუნქტი)* ➢ გადასატანი საარჩევნო ყუთის სიაში შესაყვანი ამომრჩევლების შესახებ ინფორმაცია **დაუყოვნებლივ** უნდა გამოიკრას კენჭისყრის შენობაში თვალსაჩინო ადგილას *(33-ე მუხლის მე-3 პუნქტი)* ➢ გადასატანი საარჩევნო ყუთის სია მისი **შედგენისთანავე** თვალსაჩინო ადგილას გამოიკვრება საუბნო საარჩევნო კომისიისა და კენჭისყრის შენობებში *(33-ე მუხლის მე-6 პუნქტი)* 9. საარჩევნო კოდექსის 33-ე მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებას საოლქო საარჩევნო კომისია იღებს კენჭისყრის დღემდე არაუგვიანეს მე-11 დღისა, 18:00 საათის შემდეგ. **(ბოლო ვადა)** *(ცესკოს დადგენილება №7/2023)*
არაუადრეს მე-10 დღისა	16 ოქტომბერი ოთხშაბათი	საოლქო საარჩევნო კომისია ირჩევს გამონაკლის შემთხვევაში შექმნილი საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელ პირებსა და 5 წევრს. **(საწყისი ვადა)** *(25-ე მუხლის მე-4 პუნქტი, 25¹ მუხლი, ცესკოს განკარგულება №78/2024)*
არაუგვიანეს მე-10 დღისა	16 ოქტომბერი ოთხშაბათი	1. რეგისტრაციაში გატარების მიზნით ადგილობრივმა დამკვირვებელმა ორგანიზაციამ განცხადებით უნდა მიმართოს შესაბამის საარჩევნო კომისიას და უნდა წარუდგინოს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერი. განცხადებაში აღნიშნული უნდა იყოს იმ საარჩევნო ოლქის/ოლქების დასახელება, რომელშიც/რომლებშიც ეს ორგანიზაცია დაკვირვებას განახორციელებს. საარჩევნო კომისია განცხადების მიღებიდან **5 დღის ვადაში** წყვეტს ორგანიზაციის რეგისტრაციის საკითხს. **(ბოლო ვადა)** *(მე-40 მუხლის მე-3 პუნქტი)* 2. ცესკო თავის ოფიციალურ ვებგვერდზე აქვეყნებს სხვა სახელმწიფოში შექმნილი საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა სიას *(25-ე მუხლის მე-7 პუნქტი)* 3. საოლქო საარჩევნო კომისია, კენჭისყრის დღემდე არაუგვიანეს მე-10 დღისა ადგენს და განკარგულებით ამტკიცებს სპეციალურ სიებს და ამავე კომისიის თავმჯდომარისა და მდივნის ხელმოწერებით **დაუყოვნებლივ** გადასცემს შესაბამის საუბნო საარჩევნო კომისიას სპეციალური სიების საჯარო ინფორმაციისთვის მიკუთვნებულ ვერსიებს, ხოლო კენჭისყრამდე არაუგვიანეს 12 საათისა - საარჩევნო კომისიისათვის განკუთვნილ ვერსიებს *(32-ე მუხლის მე-3 პუნქტი)* ➢ საოლქო საარჩევნო კომისია საუბნო საარჩევნო კომისიებისგან მიღებული, აგრეთვე საკუთარი მონაცემების საფუძველზე ადგენს და განკარგულებით ამტკიცებს ადაპტირებული საარჩევნო უბნების ამომრჩეველთა სპეციალურ სიას და შესაბამის საუბნო საარჩევნო კომისიას დაუყოვნებლივ გადასცემს ამავე კომისიის თავმჯდომარისა და მდივნის მიერ ხელმოწერილ ამ სიის საჯარო ინფორმაციისთვის მიკუთვნებულ ვერსიას, ხოლო კენჭისყრამდე არაუგვიანეს 12 საათისა - საარჩევნო კომისიისთვის განკუთვნილ ვერსიას. ადაპტირებული საარჩევნო უბნის ამომრჩეველთა სპეციალური სიის საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ საუბნო საარჩევნო კომისიისათვის გადაცემული საჯარო ინფორმაციისათვის მიკუთვნებული ვერსია (ფოტოსურათების გარეშე) დაუყოვნებლივ გამოიკვრება საუბნო საარჩევნო კომისიის (კენჭისყრის) შენობაში თვალსაჩინო ადგილას *(200² მუხლის მე-3 და მე-5 პუნქტები)* 4. პენიტენციური დაწესებულების ადმინისტრაციების მიერ პენიტენციურ დაწესებულებაში ხმის მიცემის უფლების მქონე ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ინფორმირების პირობებისა და წესის განსაზღვრის შესახებ” ცესკოს 2012 წლის 13 ივლისის №75/2012 განკარგულების შესრულების კონტროლის განხორციელების

		მიზნით, იქმნება მონიტორინგის ჯგუფი. ჯგუფის შემადგენლობა და მისი უფლებამოსილებანი განისაზღვრება ცესკოს თავმჯდომარის ბრძანებით *(ცესკოს განკარგულება №75/2012)*
არაუგვიანეს მე-9 დღისა	17 ოქტომბერი ხუთშაბათი	1. საოლქო საარჩევნო კომისია ირჩევს გამონაკლის შემთხვევაში შექმნილი საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელ პირებს და 5 წევრს. **(ბოლო ვადა)** *(25-ე მუხლის მე-4 პუნქტი, 25[1] მუხლი, ცესკოს განკარგულება №78/2024)* 2. უფლებამოსილი პარტიის გადაწყვეტილება გამონაკლის შემთხვევაში შექმნილი საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის დანიშვნის შესახებ წარედგინება შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას. **(ბოლო ვადა)** *(25-ე მუხლის მე-6 პუნქტი)*
არაუგვიანეს მე-8 დღისა	18 ოქტომბერი პარასკევი	პენიტენციურ დაწესებულებათა ადმინისტრაციებმა, სადაც ხმის მიცემის უფლების მქონე ბრალდებულები/მსჯავრდებულები არიან მოთავსებულნი, უნდა გამოყონ ადგილები ფლაიერების/ბუკლეტების/ბეჭდვითი საგიტაციო მასალების განსათავსებლად. *(ცესკოს განკარგულება №75/2012)*
მე-8 დღისათვის	18 ოქტომბერი პარასკევი	თუ გამონაკლის შემთხვევაში შექმნილი საუბნო საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში დადგენილზე ნაკლები რაოდენობის წევრი აღმოჩნდა, ზემდგომ საოლქო საარჩევნო კომისიას უფლება აქვს საუბნო საარჩევნო კომისიის გამოკლებული წევრების ადგილზე 3 დღის ვადაში აირჩიოს კომისიის წევრები კონკურსში მონაწილე კანდიდატთაგან ან ხელახლა გამოცხადებული კონკურსის საფუძველზე. საოლქო საარჩევნო კომისია კანდიდატთა საკონკურსო დოკუმენტაციას განიხილავს და საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა არჩევას ახდენს არჩევნების დღემდე **მე-5 დღისათვის.** ხელახალ კონკურსში მონაწილეობისათვის, საკონკურსო დოკუმენტაცია უნდა წარედგინოს საოლქო საარჩევნო კომისიას არჩევნების დღემდე არაუგვიანეს **მე-7 დღისა.** *(25-ე მუხლის მე-8 პუნქტი, ცესკოს განკარგულება №78/2024)*
არა უადრეს მე-8 დღიდან	18 ოქტომბერი პარასკევი	1. პენიტენციურ დაწესებულებაში, სადაც ხმის უფლების მქონე ბრალდებულები/ მსჯავრდებულები არიან მოთავსებულნი, ხორციელდება ხმის მიცემის უფლების მქონე ბრალდებულების/მსჯავრდებულების ინფორმირება კენჭისყრის პროცედურების *(ბუკლეტებისა და ფლაიერების საშუალებით),* საარჩევნო სუბიექტებისა და მათ მიერ წარდგენილი კანდიდატების *(საარჩევნო სუბიექტების ბეჭდვითი საგიტაციო მასალების/საარჩევნო პლაკატებისა და საარჩევნო პროგრამების საშუალებით)* შესახებ. **(საწყისი ვადა)** *(ცესკოს განკარგულება №75/2012)* 2. საარჩევნო სუბიექტები პენიტენციურ დაწესებულებაში შექმნილ საუბნო საარჩევნო კომისიებს გადასცემენ საგიტაციო მასალებს. შესაბამის საუბნო საარჩევნო კომისიას ეკისრება პასუხისმგებლობა მათთვის გადაცემული ბუკლეტების/ფლაიერების/ბეჭდვითი საგიტაციო მასალების განთავსებაზე *(ცესკოს განკარგულება №75/2012)* 3. პენიტენციურ დაწესებულებაში, სადაც საარჩევნო უბანი არ გაიხსნება, ბეჭდვითი მასალების/ინფორმაციის განთავსება შესაძლებელია საარჩევნო სუბიექტების მიერ შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიებში წარდგენის გზით, რომელთა წარდგენიდან არა უგვიანეს **2 დღისა**, შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე/მის მიერ უფლებამისილი პირი, პირადად განათავსებს მათ პენიტენციურ დაწესებულებაში გამოყოფილ ადგილებსა ან/და სტენდებზე. საოლქო საარჩევნო კომისიებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა მათთვის გადაცემული მასალების გამოყოფილ ადგილებზე განთავსებისათვის *(ცესკოს განკარგულება №75/2012)*
არაუგვიანეს მე-7 დღისა	19 ოქტომბერი შაბათი	1. რეგისტრაციაში გატარების მიზნით საერთაშორისო დამკვირვებელი ორგანიზაცია განცხადებით მიმართავს ცესკოს. ცესკო განცხადების მიღებიდან **5 დღის ვადაში,** მაგრამ **კენჭისყრის დღემდე არაუგვიანეს მე-4 დღისა** წყვეტს საერთაშორისო დამკვირვებელი ორგანიზაციის, დამკვირვებლის (დამკვირვებელთა ჯგუფის) რეგისტრაციის საკითხს *(მე-40 მუხლის მე-4 პუნქტი)* 2.გამონაკლის შემთხვევაში შექმნილი საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების შესარჩევ ხელახალ კონკურსში საკონკურსო დოკუმენტაციის წარდგენის **ბოლო ვადა** *(ცესკოს*

		განკარგულება №78/2024) 3. საარჩევნო კოდექსის 61-ე მუხლით, ასევე, „კენჭისყრის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით ჩატარების წესისა და პირობების განსაზღვრის შესახებ" საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2023 წლის 6 თებერვლის №7/2023 დადგენილებით დამტკიცებული კენჭისყრის ელექტრონული საშუალებებით ჩატარების წესისა და პირობებით გათვალისწინებული კომისიის წევრთა ფუნქციების გასანაწილებელ წილისყრას საუბნო საარჩევნო კომისიები ატარებენ კენჭისყრამდე არაუგვიანეს მე-7 დღისა. **(ბოლო ვადა)** *(ცესკოს დადგენილება №32/2024)*
არაუგვიანეს მე-5 დღისა	21 ოქტომბერი ორშაბათი	1. ცესკო თავის ვებგვერდზე აქვეყნებს ამომრჩეველთა საერთო რაოდენობას საქართველოში და საქართველოს ყოველ საარჩევნო ოლქში. *(31-ე მუხლის მე-14 პუნქტი)* 2. თუ გამონაკლის შემთხვევაში შექმნილ საუბნო საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში დადგენილზე ნაკლები რაოდენობის წევრი აღმოჩნდა, ზემდგომი საოლქო საარჩევნო კომისია საუბნო საარჩევნო კომისიის გამოკლებული წევრების ადგილზე ირჩევს კომისიის წევრებს კონკურსში მონაწილე კანდიდატთაგან ან ხელახლა გამოცხადებული კონკურსის საფუძველზე **(ბოლო ვადა)** *(25-ე მუხლის მე-8 პუნქტი, ცესკოს განკარგულება №78/2024)* 3. გამონაკლის შემთხვევაში შექმნილი საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა სიას ცესკოს ოფიციალურ ვებგვერდზე აქვეყნებს შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისია *(25-ე მუხლის მე-7 პუნქტი)* 4. შესაბამისი საარჩევნო კომისია წყვეტს ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის რეგისტრაციის საკითხს. **(ბოლო ვადა)** *(მე-40 მუხლის მე-3 პუნქტი)* 5. განცხადება პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა წარმომადგენლების აკრედიტაციის შესახებ წარედგინება შესაბამის საარჩევნო კომისიას. განცხადებას თან უნდა ერთოდეს წარმომადგენლების პირადობის მოწმობების ან პასპორტების ფოტოასლები. *(44-ე მუხლის მე-3 პუნქტი)* ➢ განცხადების წარდგენიდან 2 დღის ვადაში შესაბამისი საარჩევნო კომისიის მდივანი წყვეტს პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა წარმომადგენლების აკრედიტაციის საკითხს და აკრედიტებულ წარმომადგენლებს გადაწყვეტილების მიღებიდან 1 დღის ვადაში გადასცემს სათანადო მოწმობას, ხოლო აკრედიტაციაზე უარის თქმის შემთხვევაში იმავე ვადაში გადასცემს სათანადო განკარგულებას (განკარგულებაში უარი დასაბუთებული უნდა იყოს). *(44-ე მუხლის მე-4 პუნქტი)* 6. ცესკოს მიერ რეგისტრირებულმა ადგილობრივმა დამკვირვებელმა ორგანიზაციამ ცესკოს მდივანს ცესკოს მიერ დადგენილი ფორმით უნდა წარუდგინოს საარჩევნო კომისიებში დამკვირვებლების რეგისტრაციის შესახებ განცხადება, რომელშიც აღნიშნული უნდა იყოს, რომ მის მიერ წარდგენილ სიაში შეყვანილი დამკვირვებლები აკმაყოფილებენ საარჩევნო კოდექსის 39-ე მუხლის მე-4 და 4^1 პუნქტებით დადგენილ მოთხოვნებს, აგრეთვე ცესკოსა და საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებში დანიშნული დამკვირვებლების სია (გვარის, სახელის, რეგისტრაციის ადგილისა და საქართველოს მოქალაქის პირადი ნომრის მითითებით) და თითოეული მათგანის საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის ან საქართველოს მოქალაქის პასპორტის ფოტოასლი. საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ რეგისტრირებულმა ადგილობრივმა დამკვირვებელმა ორგანიზაციამ იმავე ვადაში და იმავე ფორმით საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანს უნდა წარუდგინოს საოლქო საარჩევნო კომისიაში ან/და მის ქვემდებარე საუბნო საარჩევნო კომისიებში დანიშნული დამკვირვებლების სია და ზემოაღნიშნული დოკუმენტები. *(მე-40 მუხლის მე-7 პუნქტი)* ➢ შესაბამისი საარჩევნო კომისიის მდივანი ვალდებულია დამკვირვებელთა სიის წარდგენიდან არა უგვიანეს მე-2 დღისა რეგისტრაციაში გაატაროს საარჩევნო კოდექსის მოთხოვნათა დაცვით წარდგენილი დამკვირვებელი და ადგილობრივ დამკვირვებელ ორგანიზაციას გადასცეს დამკვირვებლის მოწმობა, რომელიც იმავდროულად არის სამკერდე ნიშანი. *(მე-40 მუხლის მე-9 პუნქტი)*
არაუგვიანეს მე-4 დღისა	22 ოქტომბერი	ცესკო წყვეტს საერთაშორისო დამკვირვებელი ორგანიზაციის, დამკვირვებლის (დამკვირვებელთა ჯგუფის) რეგისტრაციის საკითხს. **(ბოლო ვადა)** *(მე-40 მუხლის მე-*

	სამშაბათი	*4 პუნქტი)*
მე-4 დღიდან	22 ოქტომბერი სამშაბათი	აკრძალულია ცესკოს დადგენილების მიღება *(30-ე მუხლის მე-3 პუნქტი)*
არაუგვიანეს მე-3 დღისა	23 ოქტომბერი ოთხშაბათი	1. საუბნო საარჩევნო კომისია უფლებამოსილია საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ და ამომრჩეველთა სიებში შეყვანილ ყველა ამომრჩეველს გადასცეს ამომრჩევლის ბარათს *(35-ე მუხლის პირველი პუნქტი)* 2. შესაბამისი საარჩევნო კომისიის მდივანი რეგისტრაციაში ატარებს საარჩევნო კოდექსის მოთხოვნათა დაცვით წარდგენილ დამკვირვებელს და ადგილობრივ დამკვირვებელ ორგანიზაციას გადასცემს დამკვირვებლის მოწმობას, რომელიც იმავდროულად არის სამკერდე ნიშანი **(ბოლო ვადა)** *(მე-40 მუხლის მე-9 პუნქტი)* 3. შესაბამისი საარჩევნო კომისიის მდივანი წყვეტს პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა წარმომადგენლების აკრედიტაციის საკითხს და აკრედიტებულ წარმომადგენლებს გადაწყვეტილების მიღებიდან 1 დღის ვადაში გადასცემს სათანადო მოწმობას, ხოლო აკრედიტაციაზე უარის თქმის შემთხვევაში იმავე ვადაში გადასცემს სათანადო განკარგულებას (განკარგულებაში უარი დასაბუთებული უნდა იყოს) **(ბოლო ვადა)** *(44-ე მუხლის მე-4 პუნქტი)*
არაუგვიანეს მე-2 დღისა	24 ოქტომბერი ხუთშაბათი	1. დილის **08:00 საათის** შემდეგ **კენჭისყრის დღის 20:00 საათამდე აკრძალულია** არჩევნებთან დაკავშირებული საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგების გამოქვეყნება, გარდა არჩევნების შესაძლო მონაწილეთა და კენჭისყრის დღეს არჩევნების მონაწილეთა რაოდენობისა *(50-ე მუხლის მე-5 პუნქტი)* 2. შესაბამისი საარჩევნო კომისიის მდივანი პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა აკრედიტებულ წარმომადგენლებს გადასცემს სათანადო მოწმობას, ხოლო აკრედიტაციაზე უარის თქმის შემთხვევაში – გადასცემს სათანადო განკარგულებას *(44-ე მუხლის მე-4 პუნქტი)* 3. საოლქო საარჩევნო კომისია საუბნო საარჩევნო კომისიას გადასცემს ცესკოს მიერ დამოწმებულ ამომრჩეველთა ერთიანი სიის დაზუსტებულ საბოლოო ვერსიას (საჯარო ინფორმაციისთვის მიკუთვნებული ვერსიები). ამომრჩეველთა ერთიანი სიის საჯარო ინფორმაციისთვის მიკუთვნებული ვერსია (ფოტოსურათების გარეშე) დაუყოვნებლივ უნდა გამოიკრას საუბნო საარჩევნო კომისიის შენობაში თვალსაჩინო ადგილას *(31-ე მუხლის მე-11 პუნქტი)* 4. ცესკოს მიერ რეგისტრირებული საერთაშორისო დამკვირვებელი ორგანიზაცია ცესკოს მდივანს წარუდგენს დამკვირვებელთა შესახებ ინფორმაციასა და მათი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების ფოტოასლებს *(მე-40 მუხლის მე-6 პუნქტი)* 5. ცესკო საოლქო საარჩევნო კომისიებს გადასცემს საარჩევნო ბიულეტენებსა და სპეციალურ კონვერტებს *(63-ე მუხლის მე-9 პუნქტი)*
არაუგვიანეს კენჭისყრის წინა დღისა	25 ოქტომბერი პარასკევი	1. **20:00 საათამდე** საოლქო საარჩევნო კომისია საუბნო საარჩევნო კომისიებს გადასცემს საარჩევნო ბიულეტენებსა და სპეციალურ კონვერტებს *(63-ე მუხლის მე-9 პუნქტი)* 2. **20:00 საათამდე** საოლქო საარჩევნო კომისია საუბნო საარჩევნო კომისიებს გადასცემს საარჩევნო კომისიისთვის განკუთვნილ, ამომრჩეველთა დაზუსტებული სიების საბოლოო ვერსიებს *(31-ე მუხლის მე-11 პუნქტი)* 3. **20:00 საათამდე** საუბნო საარჩევნო კომისიას გადაეცემა ამომრჩეველთა ვერიფიკაციის აპარატი/აპარატები, რომლებშიც ჩატვირთულია საარჩევნო კომისიისთვის განკუთვნილი ამომრჩეველთა სიები (სია ფოტოსურათებით). *(ცესკოს დადგენილება №7/2023)* 4. **20:00 საათამდე** საოლქო საარჩევნო კომისია შესაბამის საუბნო საარჩევნო კომისიებს გადასცემს ადაპტირებული საარჩევნო უბნების ამომრჩეველთა სპეციალური სიის საარჩევნო კომისიისთვის განკუთვნილ ვერსიებს *(მე-200² მუხლის მე-3 პუნქტი)* 5. **აკრძალულია** საარჩევნო სუბიექტის მიერ მისი წარმომადგენლის დანიშვნა/

		გამოწვევა/შეცვლა *(42-ე მუხლის მე-6 პუნქტი)* 6. პენიტენციურ დაწესებულებაში, სადაც ხმის უფლების მქონე ბრალდებულები/ მსჯავრდებულები არიან მოთავსებულნი, ხორციელდება ხმის მიცემის უფლების მქონე ბრალდებულების/მსჯავრდებულების ინფორმირება კენჭისყრის პროცედუ-რების *(ბუკლეტებისა და ფლაიერების საშუალებით),* საარჩევნო სუბიექტებისა და მათ მიერ წარდგენილი კანდიდატების *(საარჩევნო სუბიექტების ბეჭდვითი სააგიტაციო მასალების/საარჩევნო პლაკატებისა და საარჩევნო პროგრამების საშუალებით)* შესახებ. **(ბოლო ვადა)** *(ცესკოს განკარგულება №75/2012)*
არჩევნების დღე	**26 ოქტომბერი შაბათი**	1. კენჭისყრის დღეს კენჭისყრის შენობაში **აკრძალულია** წინასაარჩევნო აგიტაცია. *(45-ე მუხლის მე-11 პუნქტი)* 2. დაუშვებელია კენჭისყრის შენობის შესასვლელიდან 25 მეტრის მანძილზე სააგიტაციო მასალის განთავსება. ეს მასალა ჩამოხსნას/დემონტაჟს/აღებას ექვემდებარება. დაუშვებელია აგრეთვე კენჭისყრის დღეს კენჭისყრის შენობაში ან კენჭისყრის შენობიდან 100 მეტრის მანძილზე ამომრჩევლის გადაადგილების ფიზიკურად შეფერხება. ასევე დაუშვებელია კენჭისყრის დღეს კენჭისყრის შენობიდან 100 მეტრის მანძილზე ადამიანთა შეკრება ან ამომრჩეველთა აღრიცხვა. *(45-ე მუხლის მე-12 პუნქტი)* 3. **აკრძალულია** საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის გამოწვევა. *(29-ე მუხლის მე-9 პუნქტი)* 4. **აკრძალულია** საარჩევნო სუბიექტის მიერ მისი წარმომადგენლის გამოწვევა ან/და შეცვლა. *(42-ე მუხლის მე-6 პუნქტი)* 5. აკრძალულია კენჭისყრამდე 8 საათის განმავლობაში და კენჭისყრის დღის 20:00 საათამდე ტელევიზიისა და რადიოს ეთერში ფასიანი წინასაარჩევნო რეკლამის ან/და უფასო წინასაარჩევნო რეკლამის, საარჩევნო სუბიექტების პროგრამების განთავსება და გადაცემა, აგრეთვე საარჩევნო მიზნებისათვის ავტომატიზებული სატელეფონო ზარების განხორციელება და მოკლე ტექსტური შეტყობინებების გაგზავნა. *(186-ე მუხლის მე-17 პუნქტი)* 6. აკრძალულია არჩევნებთან დაკავშირებული საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგების გამოქვეყნება კენჭისყრის დღის 20:00 საათამდე, გარდა არჩევნების შესაძლო მონაწილეთა და კენჭისყრის დღეს არჩევნების მონაწილეთა რაოდენობისა. *(50-ე მუხლის მე-5 პუნქტი)* 7. კენჭისყრის ფარულობის უზრუნველსაყოფად **აკრძალულია** კენჭისყრის კაბინაში ფოტო- და ვიდეოგადაღება. *(58-ე მუხლის მე-6 პუნქტი)* 8. კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირებს, კენჭისყრის კაბინის გარდა, საარჩევნო პროცესისათვის ხელის შეშლის გარეშე, შეუძლიათ აწარმოონ ფოტო-ვიდეოგადაღება ცესკოს 2012 წლის 24 სექტემბრის №42/2012 დადგენილებით გან-საზღვრული წესის შესაბამისად. *(მე-8 მუხლის 25-ე პუნქტი, ცესკოს დადგენილება №42/2012)* 9. 6 საათსა და 45 წუთზე იხსნება საარჩევნო უბანი *(61-ე მუხლის პირველი პუნქტი, 76[4]-ე მუხლის მე-2 პუნქტი)* 10. **8 საათზე** იწყება კენჭისყრა კენჭისყრის შენობაში. *(61-ე მუხლის მე-11 პუნქტი)* 11. კენჭისყრის დროს **აკრძალულია** კენჭისყრის შენობის ჩაკეტვა, კენჭისყრის შეწყვეტა ან შეჩერება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შეუძლებელია არჩევნების საყოველთაოობის, თანასწორობისა და ამომრჩეველთა ნების თავისუფალი გამოვლენის უზრუნველყოფა. *(მე-60 მუხლის მე-2 პუნქტი)* 12. **9 საათიდან 19 საათამდე** მიმდინარეობს გადასატანი საარჩევნო ყუთის მეშვეობით კენჭისყრის პროცედურა. გადასატანი საარჩევნო ყუთი საარჩევნო უბანში უნდა დაბრუნდეს არა უგვიანეს **20 საათისა.** *(66-ე მუხლის პირველი პუნქტი)* 13. საუბნო საარჩევნო კომისია რეგისტრაციაში ატარებს იმ ამომრჩეველს, რომელმაც კანონით დადგენილ ვადაში ვერ გაიარა რეგისტრაცია, არჩევნებში მონაწილეობის მიღების მოთხოვნით **კენჭისყრის დღეს** მიმართა საარჩევნო ადმინისტრაციას და წარადგინა შესაბამისი დოკუმენტები (საქართველოს მოქალაქის პასპორტში

		ჩანაწერი საზღვრის გადაკვეთის შესახებ, ცნობა სტაციონარული სამკურნალო დაწესებულებიდან, პენიტენციური დაწესებულებიდან გათავისუფლების ცნობა). შესაბამისი საუბნო საარჩევნო კომისია ამომრჩეველთა სიებს დაურთავს დოკუმენტების ფოტოასლებს. *(31-ე მუხლის მე-12 პუნქტი)* 14. **12 საათსა და 17 საათზე,** საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანი ვალდებულია გადათვალოს ამომრჩეველთა სიაში კენჭისყრის მონაწილე ამომრჩეველთა ხელმოწერების რაოდენობა და ეს რიცხვი შესაბამისი დროის მინიშნებით შეიტანოს საუბნო საარჩევნო კომისიის სადემონსტრაციო ოქმსა და ჩანაწერთა წიგნში. *(65-ე მუხლის მე-6 პუნქტი, 76¹-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტი)* 15. **20 საათზე** იკეტება კენჭისყრის შენობა. ამ დროისთვის რიგში მდგომ ამომრჩევლებს შეუძლიათ ხმის მიცემა, რისთვისაც საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის დავალებით კომისიის ერთ-ერთი წევრი აღრიცხავს რიგში მდგომ ამომრჩეველთა გვარებსა და სახელებს, მათ რაოდენობას აცნობებს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს, ხოლო კომისიის მდივანი ჩანაწერთა წიგნში აღნიშნავს რიგში მდგომ ამომრჩეველთა რაოდენობას. *(65-ე მუხლის მე-8 პუნქტი)* 16. კენჭისყრის შენობის დაკეტვის შემდეგ გამონაკლის შემთხვევაში შექმნილი საუბნო საარჩევნო კომისიის უფლებამოსილ პირებს საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ წინასწარ განსაზღვრული საარჩევნო უბნის კენჭისყრის შენობაში შეაქვთ გამონაკლის შემთხვევაში შექმნილი საარჩევნო უბნის საარჩევნო ყუთი და საარჩევნო დოკუმენტაცია. *(65-ე მუხლის მე-9 პუნქტი)* 17. კენჭისყრის დღეს საავადმყოფოებსა და სხვა სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებებში და ძნელად მისადგომ ადგილებში შექმნილ საარჩევნო უბნებში საუბნო საარჩევნო კომისია კენჭისყრას დამთავრებულად აცხადებს **20 საათამდე** ნებისმიერ დროს, თუ კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა სიაში შეყვანილმა ყველა ამომრჩეველმა. *(მე-60 მუხლის მე-6 პუნქტი)* 18. საუბნო საარჩევნო კომისია ვალდებულია კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის ფოტოასლი **დაუყოვნებლივ,** ოქმის **შევსებისთანავე,** თავის ხელთ არსებული ტექნიკური საშუალებებით გაუგზავნოს ცესკოს. *(71-ე მუხლის მე-14 პუნქტი)* 19. ცესკო ვალდებულია უზრუნველყოს საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის საჯაროობა, მათ შორის, მისი **დაუყოვნებლივ** ცესკოს ვებგვერდზე განთავსებით. *(76-ე მუხლის მე-8 პუნქტი)* 20.საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეებს **ეკრძალებათ** არჩევნების წინასწარი შედეგების შესახებ განცხადების გაკეთება, თუ ეს შედეგები სათანადო წესით არ არის გამოქვეყნებული ცესკოს ვებგვერდზე. *(76-ე მუხლის მე-4 პუნქტი)*
არა უგვიანეს კენჭისყრის დღის მომდევნო დღისა	27 ოქტომბერი კვირა	აკრძალულია საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის გამოწვევა *(29-ე მუხლის მე-9 პუნქტი)*
არაუგვიანეს მე-2 დღისა	28 ოქტომბერი ორშაბათი	1. ცესკო ვალდებულია უზრუნველყოს შესაბამისი ელექტრონული მოწყობილობის საშუალებით ციფრულ ფორმატში გადაყვანილი ყველა ბიულეტენის ინტერნეტსივრცეში განთავსება საარჩევნო უბნების მიხედვით, კენჭისყრის დღიდან 2 დღის ვადაში. *(76¹ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები)* 2. საოლქო საარჩევნო კომისია გასცემს საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის ფოტოასლებს, რომლებიც დამოწმებული უნდა იქნეს საოლქო საარჩევნო კომისიის ბეჭდით და საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისა და მდივნის ხელმოწერებით. *(71-ე მუხლის მე-9 პუნქტი)*
არაუგვიანეს მე-6 დღისა	1 ნოემბერი პარასკევი	საოლქო საარჩევნო კომისია ვალდებულია კენჭისყრის დღიდან არაუგვიანეს მე-6 დღისა: ➢ საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე არსებული საარჩევნო უბნებიდან შემთხვევითი შერჩევით კომისიის სხდომაზე გამოავლინოს 5 საარჩევნო

		უბანი, გახსნას ამ საარჩევნო უბნების საუბნო საარჩევნო კომისიებისგან მიღებული პაკეტები და ხელახლა დათვალოს კენჭისყრის შედეგები; ➢ გახსნას შესაბამისი საარჩევნო დოკუმენტაცია და ხელახლა დათვალოს კენჭისყრის შედეგები იმ შემთხვევაში, როდესაც საუბნო საარჩევნო კომისიის მიერ შედგენილ კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმში, ისე, რომ მას არ ახლავს შესწორების ოქმი, გადასწორებულია საარჩევნო სუბიექტისთვის მიცემულ ხმათა რაოდენობა, არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა ან/და ბათილად მიჩნეულ საარჩევნო ბიულეტენთა რაოდენობა; ➢ გახსნას შესაბამისი საარჩევნო დოკუმენტაცია და ხელახლა დათვალოს კენჭისყრის შედეგები იმ შემთხვევაში, როდესაც ბათილად მიჩნეულ საარჩევნო ბიულეტენთა რაოდენობისა და საარჩევნო სუბიექტებისთვის მიცემულ ხმათა რაოდენობის ჯამი 5-ით ან 5-ზე მეტით აღემატება საუბნო საარჩევნო კომისიის მიერ შედგენილ კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმში მითითებულ არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა საერთო რაოდენობას; ➢ გახსნას შესაბამისი საარჩევნო დოკუმენტაცია და ხელახლა დათვალოს კენჭისყრის შედეგები იმ შემთხვევაში, როდესაც ბათილად მიჩნეულ საარჩევნო ბიულეტენთა რაოდენობისა და საარჩევნო სუბიექტებისთვის მიცემულ ხმათა რაოდენობის ჯამი 10-ით ან 10-ზე მეტით ნაკლებია საუბნო საარჩევნო კომისიის მიერ შედგენილ კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმში მითითებულ არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა საერთო რაოდენობაზე *(21-ე მუხლის დ[1]-დ[4] ქვეპუნქტები, ცესკოს დადგენილება №22/2023)*
არაუგვიანეს მე-12 დღისა	7 ნოემბერი ხუთშაბათი	ის საარჩევნო სუბიექტი, რომელიც, წინასწარი მონაცემებით, არჩევნებში საარჩევნო კოდექსით დადგენილ ხმების საჭირო რაოდენობას მიიღებს, კენჭისყრის დღიდან არაუგვიანეს 12 დღისა ანტიკორუფციულ ბიუროს წარუდგენს არჩევნების დანიშვნის დღიდან კენჭისყრის დღის ჩათვლით გამოყენებული სახსრების შესახებ ანგარიშს. *(57-ე მუხლის მე-2 პუნქტი)*
არაუგვიანეს მე-15 დღისა	10 ნოემბერი კვირა	საოლქო საარჩევნო კომისია საუბნო საარჩევნო კომისიების ოქმებისა და რაიონული/ საქალაქო სასამართლოების გადაწყვეტილებების საფუძველზე, თავის სხდომაზე აჯამებს კენჭისყრის შედეგებს და შეაქვს კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმში, რომლესაც არაუგვიანეს მომდევნო დღისა გადასცემს ცესკოს. *(75-ე მუხლის პირველი პუნქტი, 124-ე მუხლის პირველი პუნქტი)* ➢ საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი კენჭისყრის შედეგების შეჯამებიდან **7 დღის ვადაში** გახსნის საუბნო საარჩევნო კომისიების დალუქულ ჩანაწერთა წიგნებს, გადაიღებს წიგნების იმ გვერდების ასლებს, რომლებზედაც შესრულებულია საარჩევნო კოდექსის 65-ე მუხლის 2^2 პუნქტითა და 67-ე მუხლის 5^1 პუნქტით გათვალისწინებული ჩანაწერები (ამის შემდეგ ჩანაწერთა წიგნი ისევ უნდა დაილუქოს), თავისი ხელმოწერით დაამოწმებს ჩანაწერებს და შესაბამის დალუქულ დოკუმენტებთან (პირადობის მოწმობები/პასპორტების ფოტოასლები) ერთად გადასცემს ცესკოს. *(75-ე მუხლის მე-10 პუნქტი)* ➢ საარჩევნო კოდექსის 75-ე მუხლის მე-10 პუნქტით განსაზღვრული პროცედურების განხორციელებისას, საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი, კენჭისყრის შედეგების შეჯამებიდან **7 დღის ვადაში,** გადაიღებს ჩანაწერთა წიგნების იმ გვერდების ფოტოასლებს, რომლებზედაც შესრულებულია საარჩევნო კოდექსის 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ჩანაწერები, ხელმოწერითა და კომისიის ბეჭდით დაამოწმებს მათ და საჭიროების შემთხვევაში გადასცემს ცესკოს. *(75-ე მუხლის მე-11 პუნქტი)*
არაუგვიანეს მე-16 დღისა	11 ნოემბერი ორშაბათი	საოლქო საარჩევნო კომისიის არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმის ცესკოსთვის გადაცემის ბოლო ვადა *(75-ე მუხლის პირველი პუნქტი)*
არაუგვიანეს	17 ნოემბერი	საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი გახსნის საუბნო საარჩევნო კომისიების დალუქულ ჩანაწერთა წიგნებს, გადაიღებს წიგნების იმ გვერდების ასლებს,

მე-22 დღისა	კვირა	რომლებზედაც შესრულებულია საარჩევნო კოდექსის 65-ე მუხლის 2^2 პუნქტითა და 67-ე მუხლის 5^1 პუნქტით გათვალისწინებული ჩანაწერები (ამის შემდეგ ჩანაწერთა წიგნი ისევ უნდა დაილუქოს), თავისი ხელმოწერით დაამოწმებს ჩანაწერებს და შესაბამის დალუქულ დოკუმენტებთან (პირადობის მოწმობები/პასპორტების ფოტო-ასლები) ერთად გადასცემს ცესკოს *(75-ე მუხლის მე-10 პუნქტი)* ➢ ზემოთ განსაზღვრული პროცედურების განხორციელებისას საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი **ამავე ვადაში** გადაიღებს ჩანაწერთა წიგნების იმ გვერდების ფოტოასლებს, რომლებზედაც შესრულებულია საარჩევნო კოდექსის 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ჩანაწერები, ხელმოწერითა და კომისიის ბეჭდით დაამოწმებს მათ და, საჭიროების შემთხვევაში, გადასცემს ცესკოს *(75-ე მუხლის მე-11 პუნქტი)*
არაუგვიანეს 26-ე დღისა	21 ნოემბერი ხუთშაბათი	ცესკო საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებისაგან მიღებული ოქმებისა და სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებების საფუძველზე თავის სხდომაზე აჯამებს საქართველოს პარლამენტის არჩევნების შედეგებს და ადგენს საქართველოს პარლამენტის არჩევნების საბოლოო შედეგების შემაჯამებელ ოქმს *(76-ე მუხლის პირველი პუნქტი, 125-ე მუხლის პირველი პუნქტი)* ➢ ცესკო არჩევნების საბოლოო შედეგების შეჯამებისთანავე თავის ვებგვერდზე აქვეყნებს არჩევნების საბოლოო შედეგების შემაჯამებელ ოქმს *(76-ე მუხლის მე-7 პუნქტი; 125-ე მუხლის მე-19 პუნქტი)* ➢ ცესკო არჩევნების საბოლოო შედეგების შემაჯამებელ ოქმს გადასცემს ,,საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“, რომელიც მას **2 დღის ვადაში** აქვეყნებს *(76-ე მუხლის მე-7 პუნქტი; 125-ე მუხლის მე-19 პუნქტი)* ➢ არჩევნების საბოლოო შედეგების შეჯამებიდან **2 დღის ვადაში** ცესკო რეგისტრაციაში ატარებს არჩეულ საქართველოს პარლამენტის წევრებს და აძლევს მათ დროებით მოწმობას საქართველოს პარლამენტის წევრად არჩევის შესახებ *(131-ე მუხლი)* ➢ საარჩევნო სუბიექტი არჩევნების შედეგების გამოქვეყნებიდან არაუგვიანეს 1 თვისა, ანტიკორუფციულ ბიუროს აუდიტორულ (აუდიტორული ფირმის) დასკვნასთან ერთად წარუდგენს არჩევნების დანიშვნის დღიდან არჩევნების საბოლოო შედეგების გამოქვეყნების დღის ჩათვლით გამოყენებული სახსრების შესახებ ანგარიშს. *(57-ე მუხლის მე-4 პუნქტი)* ➢ საარჩევნო სუბიექტი ვალდებულია უზრუნველყოს საგიტაციო მასალის ჩამოხსნა არჩევნების საბოლოო შედეგების ოფიციალურად გამოქვეყნებიდან **15 დღის ვადაში** *(46-ე მუხლის მე-8 პუნქტი)* ➢ არჩევნების შედეგების შეჯამებიდან 60 დღის ვადაში ცესკო საქართველოს პარლამენტს წარუდგენს ანგარიშს *(მე-14 მუხლის პირველი პუნქტის „ პ” ქვეპუნქტი)*
არაუგვიანეს 28-ე დღისა	23 ნოემბერი შაბათი	1. ცესკო რეგისტრაციაში ატარებს არჩეულ საქართველოს პარლამენტის წევრებს და აძლევს მათ დროებით მოწმობას საქართველოს პარლამენტის წევრად არჩევის შესახებ **(ბოლო ვადა)** *(131-ე მუხლი)* 2. ცესკოს მიერ გადაცემულ არჩევნების საბოლოო შედეგების შემაჯამებელ ოქმს აქვეყნებს ,,საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“ **(ბოლო ვადა)** *(76-ე მუხლის მე-7 პუნქტი, 125-ე მუხლის მე-19 პუნქტი)*
არაუგვიანეს 30-ე დღისა	25 ნოემბერი ორშაბათი	საოლქო საარჩევნო კომისია წყვეტს ყოველგვარ ანგარიშსწორებას ორგანიზაციებთან და ცალკეულ პირებთან და **10 დღის ვადაში** სახელმწიფო ხაზინის შესაბამის ანგარიშზე ჩარიცხავს თავის ანგარიშზე არსებულ ნაშთს. ამ ნაშთის ჩარიცხვიდან **2 კვირის ვადაში** საოლქო საარჩევნო კომისია ცესკოს წარუდგენს საფინანსო ანგარიშს *(53-ე მუხლის მე-5 პუნქტი)*
არაუგვიანეს მე-40 დღისა	5 დეკემბერი ხუთშაბათი	1. საოლქო საარჩევნო კომისია სახელმწიფო ხაზინის შესაბამის ანგარიშზე ჩარიცხავს თავის ანგარიშზე არსებულ ნაშთს. ამ ნაშთის ჩარიცხვიდან 2 კვირის ვადაში საოლქო საარჩევნო კომისია ცესკოს წარუდგენს საფინანსო ანგარიშს *(53-ე მუხლის მე-5 პუნქტი)* 2. ცესკო დაამუშავებს საოლქო საარჩევნო კომისიებისაგან მიღებულ, საარჩევნო

		კოდექსის 75-ე მუხლის მე-10 პუნქტით გათვალისწინებულ საბუთებს და თითოეული შემთხვევისთვის ცალ-ცალკე დოკუმენტს ქმნის: ყოველი დოკუმენტი შეიცავს ჩანაწერთა წიგნის სათანადო გვერდის დამოწმებულ ასლს და თანდართულ შესაბამის დოკუმენტებს. **(ბოლო ვადა)** *(76-ე მუხლის მე-9 პუნქტი)*
არაუგვიანეს 41-ე დღისა	6 დეკემბერი პარასკევი	საარჩევნო სუბიექტი ვალდებულია უზრუნველყოს სააგიტაციო მასალის ჩამოხსნა. **(ბოლო ვადა)** *(46-ე მუხლის მე-8 პუნქტი)*
არაუგვიანეს 45-ე დღისა	10 დეკემბერი სამშაბათი	ცესკო, საოლქო საარჩევნო კომისიისაგან მიღებულ, დამუშავებულ საარჩევნო კოდექსის 75-ე მუხლის მე-10 პუნქტით გათვალისწინებულ საბუთებს (ჩანაწერთა წიგნის სათანადო გვერდის დამოწმებულ ასლს და თანდართულ შესაბამის დოკუმენტებს) გადასცემს სააგენტოს, რომელიც ვალდებულია შეისწავლოს ისინი შესაბამის პირთა ვინაობის გადასამოწმებლად. **(ბოლო ვადა)** *(76-ე მუხლის მე-9 პუნქტი)*
არაუგვიანეს 54-ე დღისა	19 დეკემბერი ხუთშაბათი	საოლქო საარჩევნო კომისია ცესკოს წარუდგენს საფინანსო ანგარიშს *(53-ე მუხლის მე-5 პუნქტი)*
არაუგვიანეს 86-ე დღისა	20 იანვარი ორშაბათი	ცესკო საქართველოს პარლამენტს წარუდგენს ანგარიშს. **(ბოლო ვადა)** *(მე-14 მუხლის პირველი პუნქტის "ბ" ქვეპუნქტი)*